



T.C.

DÜZCE ÜNİVERSİTESİ

SOSYAL BİLİMLER ENSTİTÜSÜ

KAFKAS DİLLERİ VE KÜLTÜRLERİ ANABİLİM DALI

GÜRCÜ DİLİ VE EDEBİYATI YÜKSEK LİSANS PROGRAMI

სახელთა აფიქსური სიტყვაწარმოება ქართულ სალიტერატურო ენაში

GÜRCÜ EDEBİ DİLİNDE İSİMDEN İSİM YAPAN YAPIM EKLERİ

YÜKSEK LİSANS TEZİ

İlkiz ŞENEL

Temmuz 2019

Düzce



T.C.

DÜZCE ÜNİVERSİTESİ

SOSYAL BİLİMLER ENSTİTÜSÜ

KAFKAS DİLLERİ VE KÜLTÜRLERİ ANABİLİM DALI

GÜRCÜ DİLİ VE EDEBİYATI YÜKSEK LİSANS PROGRAMI

სახელთა აფიქსური სიტყვაწარმოება ქართულ სალიტერატურო ენაში

GÜRCÜ EDEBİ DİLİNDE İSİMDEN İSİM YAPAN YAPIM EKLERİ

YÜKSEK LİSANS TEZİ

İlkiz ŞENEL

TEZ DANIŞMANI

DOÇ. DR. MAKA SALIA BEŞİROĞLU

Temmuz 2019

Düzce

სამაგისტრო ნაშრომის მიღებისა და თანხმობის შესახებ

სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას,

ხმათა უმრავლესობით ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ნაშრომი ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულეზაზე წარდგენილ იქნეს სამაგისტრო ნაშრომად.

თავმჯდომარე (ხელმოწერა)

აკად. წოდება, სახელი გვარი

წევრი (ხელმოწერა)

აკად. წოდება, სახელი გვარი

წევრი (ხელმოწერა)

აკად. წოდება, სახელი გვარი

თანხმობა

ვადასტურებ, რომ ზემოთ აღნიშნული ხელმოწერები ეკუთვნით აღნიშნულ ლექტორებს.

..../..../2019

ინსტიტუტის დირექტორი

ასოც. პროფ. ალი ერთუღრულ

წინასიტყვაობა

სიტყვაწარმოება ენის ლექსიკური მარაგის შევსების, გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. სიტყვაწარმოება არაერთხელ ყოფილა ენათმეცნიერთა კვლევის საგანი. თითქმის არ არსებობს მკვლევარი, რომელიც სიტყვაწარმოების ამა თუ იმ საკითხს არ შეხებოდეს. ამ საკითხით დაინტერესებული იყვნენ ძველი გრამატიკოსები და სიტყვაწარმოების შესწავლას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში სიტყვაწარმოების სხვადასხვა განმარტება არსებობს: „სიტყვაწარმოება არის სიტყვების წარმოქმნა არსებული ენობრივი მასალის საფუძველზე და მისი დახმარებით“ (Fleischer ... 1995, 5). ამ შემთხვევაში იგი განიხილება, როგორც რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის – ლექსიკოლოგიის ან გრამატიკის (მორფოლოგიის, სინტაქსის) შემადგენელი ნაწილი, რომელიც „შეისწავლის სიტყვების აგების ტექნიკას“ (ტუსკია, 2004, 3). ქართველ ლინგვისტთა ერთი ნაწილი, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე სიტყვაწარმოებას ძირითადად მორფოლოგიაში აერთიანებენ, თუმცა, მათი მეორე ნაწილი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. ზურაბიშვილი, რ. გაბეჩავა და სხვ. მას ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში მოიაზრებენ. ამ მოსაზრებებს მომხრეები უცხოელ ლინგვისტთა შორისაც ჰყავს. სიტყვაწარმოებას გრამატიკის შემადგენელ ნაწილად თვლიან ჰ. პაული, ბ. ნაუმანი, ო. ბეჰაგელი, ი. ერბენი, კ. ბრინკმანი, ხოლო მას ლექსიკოლოგიას მიაკუთვნებენ ვ. შმიდტი, ვ. მოჩი და სხვა ლექსიკოლოგები. არსებობს, შემდეგი მოსაზრებაც, სიტყვაწარმოება იკვლევს „ახალი სიტყვების წარმოებას, წესებს, რომელთა მეშვეობითაც ეს სიტყვები იწარმოებიან და აღწერს განსაზღვრულ ნიმუშებსა და მოდელებს. ამგვარად, ეს სფერო სხვა დისციპლინებს შორის დგას, ერთი მხრივ, სინტაქსსა და, მეორე მხრივ, მორფოლოგიას შორის და რადგან სიტყვაწარმოებითი პროცესები ზეგავლენას ახდენენ ასევე სიტყვის

მნიშვნელობაზე, იგი ლექსიკოლოგიასთანაც არის დაკავშირებული“ (Kühn, 1994, 2).“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დასტურდება შემდეგი მოსაზრება, „სიტყვაწარმოებას ბევრი საერთო აქვს სინტაქსთან. მაგრამ, მეორე მხრივ, სიტყვაწარმოებითი პროცესების შედეგად მიღებული სიტყვა ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს მიეკუთვნება და კერძოდ, რომელს – განისაზღვრება წარმოებული სიტყვის უშუალო შემადგენლების მიხედვით. ამდენად, სიტყვაწარმოება მორფოლოგიის შემადგენელ ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სიტყვაწარმოების პროდუქტი ლექსიკალიზაციის პროცესის შედეგად ენის ლექსიკაში მკვიდრდება, ნაწარმოები ახალი სიტყვა ლექსიკოლოგიის კვლევის ობიექტიც ხდება“ (<http://www.spekali.tsu.ge>). უცხოელ ლინგვისტთა შორის თანდათანობით იზრდება იმ მოსაზრების მომხრეთა რიცხვი, რომლის მიხედვითაც სიტყვაწარმოება განხილულ უნდა იქნას, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც აქვს კვლევის საკუთარი სფერო და ობიექტი. აღნიშნული მოსაზრება კი განაპირობებს სიტყვაწარმოების მეორე, უფრო ფართო გაგებას, რომლის თანახმად, იგი შედის არა სინტაქსის ან ლექსიკოლოგიის სფეროში, არამედ წარმოადგენს „დამოუკიდებელ, შედარებით ავტონომიურ ენობრივ დონეს“ (Dokulil, 1968, 14). მიუხედავად სიტყვაწარმოების სისტემური ხასიათისა, რის გამოც მას სინტაქსის კვლევის ობიექტად მიიჩნევენ, „სიტყვაწარმოებით კონსტრუქციებს ახასიათებთ თვისებები, რომელთა აღწერა სინტაქსს არ ძალუძს. ესენია ისტორიულობა, იდიომატიზაცია და ლექსიკურობა“ (Schippan, 2002, 108). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ „სიტყვაწარმოება ემყარება მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ წესებს და სიტყვაწარმოების შედეგი საჭიროებს კვლევის სპეციფიკურ მეთოდებს“ (Schippan, 2002, 108).

ყოველ ენას სიტყვაწარმოების თავისი შესაძლებლობები - ხერხები და მეთოდები აქვს. ბუნებრივია, მნიშვნელოვანია ქართული სალიტერატურო ენის შესაძლებლობანი სიტყვაწარმოების თვალსაზრისით.

ქართველური სიტყვის სტრუქტურა რთულია. სიტყვა იშლება ფუძედ და მორფემებად. აგებულება ქართველური სიტყვისა აგლუტინაციურია. მორფემის ადგილი სიტყვაში ყოველთვის განსაზღვრულია. ერთ ფუძეს საწარმოებლად ერთი ან მეტი აფიქსი მოუდის, ზოგჯერ კი -- წყვილ-წყვილადაც და ცალ-ცალკეც (ლონტი, 1964, 24).

წინამდებარე ნაშრომის კვლევის ობიექტიც სიტყვაწარმოებაა. აქვე დავაზუსტებთ რომ ჩვენ დეტალურად განვიხილავთ აფიქსურ სახელთა აფიქსური წარმოების შემთხვევებს და არ ვეხებით ზმნებს. ვრცლად ვსაუბრობთ სიტყვის აგებულებაზე. მაწარმოებელ ელემენტებზე - აფიქსებზე. აფიქსები გარჩეულია ადგილისა და ფუნქციის მიხედვით. მრავალფეროვან სურათს იძლევა წარმოქმნილი სახელები, რომელთა დაყოფა ხდება ფორმისა და შინაარსის მიხედვით. წარმოქმნილი სახელები შინაარსის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფში ერთიანდებიან.

საკითხთან დაკავშირებით დამუშავებულია სამეცნიერო ლიტერატურის დიდი ნაწილი. ნაშრომში მსჯელობისას, ამათუ იმ საკითხის განხილვისას ძირითადად ვეყრდნობით დიდი ქართველი გრამატიკოსების აკაკი შანიძის („ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1953) და ლეო კვაჭაძის (ქართული ენა, 1969) ფუნდამენტურ ნაშრომებს. რა თქმა უნდა, გამოყენებული და დამოწმებულია სხვა მეცნიერ-მკვლევართა ცალკეული სტატიები თუ მონოგრაფიები. დამუშავებულია სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული უცხოური ლიტერატურაც.

საანალიზო საკითხები დალაგებულია თანმიმდევრულად. მასალის ნიმუშად მოგვყავს გამოქვეყნებული სიტყვა-ფორმები. ზოგ შემთხვევაში,

სალიტერატურო ქართული ენის პარალელურად მოყვანილია მეგრულ-ლაზური მასალაც. დავამუშავეთ „ქართულ-თურქული ლექსიკონი“, ამოვიწერეთ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ფორმები. აღნიშნული მასალა დანართის სახით არის წარმოდგენილი ნაშრომის ბოლოში.

წარმოდგენილი ნაშრომი საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნაშრომის გარკვეული ნაწილი თარგმნილია თურქულ ენაზე. ამდენად ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის თურქულენოვან სტუდენტებს, ასევე გამოადგება ქართველური ენათმეცნიერული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა და სხვა პირებს.

რეზიუმე

სახელთა აფიქსური სიტყვაწარმოება ქართულ სალიტერატურო ენაში

GÜRCÜ EDEBİ DİLİNDE İSİMDEN İSİM YAPAN YAPIM EKLERİ

სამაგისტრო ნაშრომში სახელწოდებით “სახელთა აფიქსური სიტყვაწარმოება ქართულ სალიტერატურო ენაში“, ქართული ენის განვითარების ისტორიული საფეხურების გათვალისწინებით, განხილულია ქართულში სახელიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსები. სიტყვის აგებულება; ნაწარმოები სახელები ფორმისა და შინაარსის მიხედვით. ნაშრომში აღწერილია თუ რა სახის სტრუქტურული და სემანტიკური ცვლილებები შეიძლება მოხდეს ამა თუ იმ აფიქსის სიტყვაზე დართვისას.

ნაშრომი ორი თავისაგან შედგება. პირველ თავში განხილულია ნაშრომის წერის მეთოდოლოგია.

ნაშრომის მეორე თავი წარმოადგენს თემის მთავარ ნაწილს, სადაც განხილულია ქართულ ენაში არსებული სახელიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსები. აღნიშნული აფიქსები დახარისხებულია ფუნქციების მიხედვით და მოცემულია დეტალური ინფორმაცია მათ შესახებ. განხილული აფიქსების ფუნქციების კარგად გასაანალიზებლად მაგალითების სახით დართულია სიტყვები, რომლებიც ქართულ-თურქული ლექსიკონიდან არის ამოღებული.

დანართის სახით დამატებულია აფიქსების ნუსხა, სადაც აღრიცხული არის თითოეული აფიქსი და დართული აქვს მაგალითები სიტყვების სახით, რომლებიც ამოღებულ იქნა ქართულ-თურქული ლექსიკონიდან.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, სახელი, აფიქსი, პრეფიქსი,
სუფიქსი



აბსტრაქტი

The Suffixes That Make Nouns From Nouns in the Georgian Literary Language

SUMMARY

The study consists of two parts. In the first part, the thesis writing steps that determine the method of the study are mentioned.

The second part, which constitutes the basis of the study, consists of the classification of the suffixes used in the Georgian literary language and a detailed examination of the suffixes from the name in this classification. The use of the annexes subjected to this review was supported by the words taken from “Georgian-Turkish Dictionary”.

In the annex, each annex that constitutes the name noun suffixes category is listed separately and the usage area is given with the sample words taken from “Georgian-Turkish Dictionary”

KEY WORDS: Georgian language, name, suffix, prefix, suffix, pre-suffix

ŞENEL, İlkiz

Master’s Degree, Department of Georgian Language and Literature

Thesis Advisor: Doç. Dr. Maka SALIA BEŞİROĞLU

July-2019, 290 pages

შინაარსი

წინასიტყვაობა	i
რეზიუმე.....	v
აბსტრაქტი	vii
შინაარსი.....	viii
შემოკლებანი	x
პირველი ნაწილი.....	1
1.1. შესავალი	1
1.1.1. პრობლემა.....	6
1.1.2. კვლევის მიზანი.....	7
1.1.3. კვლევის მნიშვნელობა	7
1.1.4. კვლევის შედეგები	7
1.1.5. კვლევის მეთოდიკა.....	8
1.2. ლიტერატურა.....	8
1.3. კვლევის მეთოდები	8
1.3.1. მონაცემთა შეგროვების მეთოდები.....	8
1.3.2. მონაცემთა შეგროვება.....	9
1.3.3. მონაცემთა ანალიზი	9
მეორე ნაწილი	10
2.1. სიტყვაწარმოება ქართულ სალიტერატურო ენაში.	10
2.2. სიტყვა როგორც მორფოლოგიური კატეგორია	10
2.2.1. სიტყვის შედგენილობა: ძირი, ფუძე, აფიქსები	11
2.2.2. აფიქსები ფუნქციის მიხედვით.....	13
2.2.3. აფიქსები ადგილის მიხედვით	17
2.3. სახელთა წარმოქმნა - ძირეული და წარმოქმნილი სახელები	18
2.4. წარმოქმნილი სახელები ფორმის მიხედვით	19
2.5. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით	21
2.5.1. ქონა-ყოლის სახელები.....	22
2.5.2. უქონლობის სახელები	26

2.5.3. კნინობით-ალერსობითი სახელები	31
2.5.4. წარმომავლობის სახელები	34
2.5.5. აბსტრაქტული სახელები	38
2.5.6. დანიშნულების სახელები.....	41
2.5.7. ხელობის ანუ პროფესიის სახელები.....	43
2.5.8. წინა ვითარების სახელები	43
2.5.9. მცენარეთა კრებულის სახელები.....	45
2.5.10. გეოგრაფიული სახელები.....	45
2.5.11. უცხო აფიქსიანი სახელები	50
2.6. რიცხვით სახელთა წარმოება	51
2.6.1. რიგობითი და წილობითი სახელები.....	51
2.7. ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება	52
2.8. წარმოქმნა ნაცვალსახელებისაგან	57
2.9. საწყისისა და მიმღობის წარმოქმნა	58
2.10. ზმნიზედის (ზმნისართის) წარმოქმნა.....	59
2.11. წარმოქმნა რთული სახელებისაგან.....	60
2.12. წარმოქმნა მსაზღვრელ-საზღვრულისაგან	61
2.13. ბრუნვის ფორმები და თანდებულები წარმომქმნელი აფიქსების ფუნქციით	61
დასკვნა.....	64
გამოყენებული ლიტერატურა	68
დანართი -	128

შემოკლებანი

და ა. შ. - და ასე შემდეგ

ე. ი. - ესე იგი

იხ. - იხილე

ლაზ. - ლაზური

მეგრ.- მეგრული

შდრ. - შეადარე

ქართ.-ქართული

ნათ. ბრუნვის- ნათესაობითი

გეოგრ.სახელი- გეოგრაფიული

სალიტ. - სალიტერატურო

მისტ. - მისტანანი

პირველი ნაწილი

1.1. შესავალი

სიტყვაწარმოება არის ახალი სიტყვის შექმნა. ენათმეცნიერება სიტყვაწარმოების სხვადასხვა საშუალებებს იცნობს, ესენია: აფიქსური სიტყვაწარმოება და კომპოზიცია ანუ ფუძეთა შეერთება - კომპოზიტების წარმოქმნა. ქართული ენა სიტყვაწარმოების დიდი უნარით გამოირჩევა. მისთვის არაა უცხო კომპოზიტური წარმოება, თუმცა მიჩნეულია რომ ქართველური სიტყვაწარმოქმნა უპირატესად პრეფიქსულ-სუფიქსურია. საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელი პირობაა სიტყვის სწორად დაშლა - ძირის, ფუძისა და აფიქსების გამოყოფა. აფიქსთა ადგილისა და ფუნქციის შესწავლა. დაკვირვება ფონეტიკურ მოვლენებზე.

როგორც აღვნიშნეთ სიტყვაწარმოების შედეგად ვიღებთ ახალ სიტყვას. მამასადამე სიტყვაწარმოება ამდიდრებს ენის ლექსიკურ მარაგს. ენათმეცნიერების დარგს, რომელიც ლექსიკას იკვლევს, ლექსიკოლოგია ეწოდება (ბერძნ. ლῆξιკოს "სიტყვისა" და ლოგოს "მოდღვრება"). ლექსიკას სხვადასხვა კუთხით სწავლობს, აგრეთვე: სემასიოლოგია (სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობას), ეტიმოლოგია (სიტყვათა წარმომავლობას, თავდაპირველ მნიშვნელობას), ონომასიოლოგია (სიტყვას, როგორც სახელს), ლექსიკოგრაფია (ლექსიკონის შედგენის თეორიის საკითხებს). ვლექსიკა ენის ყველაზე ცვალებადი ნაწილია (http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria)

სიტყვაწარმოებას ზოგი ენათმეცნიერი ლექსიკოლოგიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, თ. ზურაბიშვილი, რ. გაბეჩავა). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მხრივ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ლექსიკოლოგიის ფუნდამენტური ნაშრომის - „ლექსიკოლოგიის შესავალი“ - ავტორი ბ. ფოჩხუა, სიტყვაწარმოებას არ მოიაზრებს

ლექსიკოლოგიის ფარგლებში. ის განიხილავს რამდენიმე არგუმენტს, რომლებიც, როგორც წესი, იმის დასადასტურებლად მოჰყავთ, რომ სიტყვაწარმოება ლექსიკოლოგიის ნაწილია და დასკვნის სახით აყალიბებს შემდეგ მოსაზრებას: „ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ სიტყვათა სემანტიკური ჯგუფები და სტრუქტურული (სიტყვაწარმოებითი) ჯგუფები ერთმანეთს არ ემთხვევა და, მეორე მხრივ, ის, რომ სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობანი და ნაწარმოებ სიტყვათა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, – გვაპარაულებინებს, რომ მოძღვრება სიტყვაწარმოების შესახებ ვერ იქნება ლექსიკოლოგიის ნაწილი“ (ფოჩხუა, 1974, 14).

მეცნიერთა ნაწილი გრამატიკის (მორფოლოგიის (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე) ან სინტაქსის (მ. ტუსკია)); არსებობს კიდევ ერთი მოსაზრება რომლის მიხედვით, „სიტყვაწარმოების კვლევის სფერო საკმაოდ ფართოა და ის საკითხები, რომელთა შესწავლითაც ის არის დაკავებული, სცდება როგორც ლექსიკოლოგიის, ისე გრამატიკის ფარგლებს. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია მიზანშეწონილად მისი, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის, განხილვა.“ სიტყვაწარმოებაზე, როგორც დამოუკიდებელ ენათმეცნიერულ დისციპლინაზე, მსჯელობისას მნიშვნელოვანია იმ საკითხების ჩამოთვლა, რომელთა გადაჭრაც სიტყვაწარმოების ამოცანებში შედის:

„ის აღწერს სიტყვაწარმოებითი საშუალებების ინვენტარს, ახდენს მათ კლასიფიკაციას და ალაგებს მათ რანგისა (მნიშვნელობისა) და პროდუქტიულობის მიხედვით;

ის აღწერს წესებსა და მოდელებს, რომელთა მიხედვითაც ახალი სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციები შეიძლება წარმოიქმნან და აფიქსირებს პირობებს, რომლებშიდაც ისინი მართლაც წარმოიქმნებიან ან ვერა;

ის გვაწვდის სემანტიკურ მოდელებს სიტყვაწარმოებითი კონსტრუქციების ინტერპრეტაციისათვის...“ (ქ. ნიკოლაძე <http://www.spekali.tsu.ge>).

როგორც აღვნიშნეთ, ქართულში პროდუქტიულობის მიხედვით პირველ ადგილს აფიქსაცია იკავებს: წარმოქმნის სხვადასხვა სახეა ცნობილი: აფიქსაცია, კომპოზიცია, რედუქლიკაცია, შინაგანი ფლექსია და სხვ. ამათგან ... ყველაზე გაბატონებულია აფიქსაცია და კომპოზიცია (თოფურია, 1979, 103). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართულ ენაში პრეფიქსაციასა და სუფიქსაციასთან ერთად ძალზე არის განვითარებული სიტყვის წარმოება ერთდროულად პრეფიქსისა და სუფიქსის მეშვეობით ანუ კომბინატორული დერივაცია. „ამით ქართველური ენები განსხვავდება ზოგი სხვა სისტემის ენათაგან, სადაც სიტყვაწარმოება ხდება ძირითადად სუფიქსის მეშვეობით“ (თოფურია, 1979, 103).

პირველი ცნობა სართის (ანუ ართრონის) შესახებ მოცემული აქვს სულხან-საბა ორბელიანს; „ ართრონი არიან ასოები, რომელიმე წინა მოეზავებიან სიტყუათა და რომელიმე უკანა და გვარიან ყოფენ და დაატკობენ“ (ორბელიანი, 1949). ავტორი აღნიშნავს, რომ ბერძნულლათინური ენებისაგან განსხვავებით, ქართულს აქვს თავსართებიცა და ბოლოსართებიც; „... ქართულთა ართრონი თავთავნი არიან ესენი; ა, აი, აი, აე, ან, აუ, აღ, გა, გან, გე, გი, და, დაღ, ე, ვი, ი, ია, მ, მე, მი, ნ, ნა, სა, უ, შე, წ, წა, . ბოლოს ართრონი ესენია; ა, აო, გან, და, დე, დი, დო, ე, თ, თ, ია, გ, ნ, ნა, ნე; ნეო, ნო, თ, ს, ლა, შა, ში, ცა, წე“ (ორბელიანი, 1949).

ამ ნაშრომში შედის ყოველგვარი სართი; ზმნისწინი, თანდებული, ნაწილაკი, ბრუნვის ნიშანი, ზოგჯერ კი ფუძისელი ელემენტისა და ბრუნვის ან პირის ნიშნის შეერთებით მიღებული ფორმა. ამის მიუხედავად, ავტორს

სწორად აქვს კვალიფიცირებული სახელთა წარმომქმნელი ზოგი პრეფიქსის ფუნქცია.

სახის (ანუ სიტყვათწარმოების) განსაზღვრა და ილუსტრირება ანტონ პირველთან თითქმის უნაკლოდაა გაკეთებული; სახელს სახის თვალსაზრისით ორი ჯგუფი აქვს -- პირველ სახე და სხმით-გარდასვლითი. „პირველ სახე არს, რომელი თვისსა დანიშნულებასა შინა მდგომარეობს უცვალეზლად, ხოლო სხმით-გარდასვლითი არს, მომელი ჰსცვალეზს მარცვალთა მიერ თვისსა დანიშნულებასა შინა უცვალეზლად მდგონარესა სახელისა და სხვისა რაიმესა სახისა მიმართითა დანიშნულებათა წარმოდგენის, მაგ. არსი, გვან, პირი და „, სხვანი რომელ არიან თვისსა დანიშნულებასა შინა უცვალეზლად მდგონარენი (ანტონ პირველი, 1885, 130).

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს „,ანტონის გრამატიკა არსებითიდ პირველი გრამატიკაა ქართული ენისა, მასთან ყველაზე ერცელი პრაქტიკულ (წინამეცნიერულ) გრამატიკათა შორის, რაც კი დღემდე დაწერილა“ (ჩიქობავა, 1965, 90).

სართის (ანუ ართრონის) შესახებ ცნობას გვაწვდის გაიოზ რექტორი.

ქართულ ენაზე დაწერილი პირველი გრამატიკის ავტორი ზურაბ შანშოვანია (შანშოვანი, 1881). „მოკლე დრამატიკა ქართული ენისა“ სიტყვაწარმოების საკითხებსაც ეხება.

საინტერესო მოსაზრებანი გვხვდება ზოგიერთი აფიქსის გენეზისისა და ფუნქციის შესახებ ნ.მარის ნაშრომში (მარი, 1925) :

ა) ემფატიკური ა მომდინარეობს ჰა ნაწილისაგან, რომელიც დაერთვის საზოგადო სახელს და აწარმოებს საკუთარ სახელს: კაცი - კაცი - ა, ბიჭი-ბიჭა... ეგევე აფიქსი კნინობითის მაწარმოებელიცაა: ტარია: <

ტარიელი, ხოლო მისი ფონეტიკური ვარიანტია ამავე ფუნქციის -ი-კა: ივან-ი-კა (მარი, 1925, 22).

ბ) -ივ გაქვავებული ბრუნვის ნიშანია ვითარების: ძლ-ივ, ღმრთ-ივ..., რომელიც შინაარსით ფარდია ნათესაობითი ბრუნვისა.

გ) მიერ თანდებულის -ერ ელემენტს ნ.მარი *ჰერ/იერ-ს უკავშირებს; მი-ერ, მაგი-ერ, ხოლო თუ-ინ-იერ ფორმაში გამოვლენილ ინ-ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად სახავს (მარი, 1925, 22).

სიტყვაწარმოების საშუალებებზე მსჯელობს ალ. ღლონტი თავის ნაშრომში (ღლონტი, 1964). მისი აზრით სიტყვაწარმოების ერთადერთი საშუალება დერივაციაა. დერივატებად გამოყენებულია, როგორც საგანგებო დანიშნულების აფიქსები, ისე თანდებულები და ბრუნვათა (ნათესაობითის, მოქმედებითის, ვითარებითის) ნიშნები.

წარმოქმნა სამი სახისაა. პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური. თანდებულები და ბრუნვათა ნიშნები ,სუფიქსები დერივაციის ფუნქციას ასრულებენ (ღლონტი, 1964, 87).

სახელთა წარმოქმნის საკითხები სრული და მეცნიერული სახითაა განხილული ა. შანიძის „ ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (შანიძე, 1973), რომელშიც ავტორი ვრცლად ეხება წარმოქმნილ სახელთა სემანტიკურ ჯგუფებს და მათ შესაბამის აფიქსებს, არკვევს აფიქსთა გენეზისს და ფუნქციებს. აქვეა გახილული ის თანდებულები, ზმნისართები და ნაწილაკები, რომლებიც სახელთა წარმოსაქმნელად გვევლინებიან რიგ შემთხვევებში (შანიძე, 1973, 108-149).

სიტყვაწარმოების კონკრეტულ საკითხებს ეხება ვ. თოფურია გამოკვლევათა სერიაში „ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან“ (თოფურია, 1979, 63-103).

თ.უთურგაიძე თავის ნაშრომში „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (უთურგაიძე, 1976) მსჯელობს -ნარ, -ოსან, -ოვან, -იერ აფიქსებზე. CCid Cid კომპლექსები შეიძლება მივიღოთ მორფემათა საზღვარზე. ისინი წარმოიქმნება მორფემათა არანჟირების ლექსიკურ-გრამატიკული წესების მოთხოვნით; მაგ.: ეკლ-ნარ, წიფლ-ნარ, ეკალ-ს-ში, ეკალ-ს-თან, ეკალ-ს-ზე და სხვა.

ძველ ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებანი სიტყვაწარმოების საკითხებზე ორ ძირითად პერიოდად იყოფა; I. ანტონ კათალიკოსიდან პლატონ იოსელიანამდე და II. დავით ჩუბინაშვილიდან ილ. სიხარულიძის გრამატიკის ჩათვლით (კობალაძე, 1956).

სიტყვაწარმოების საკითხებს ქართველურ ენა-დიალექტებში ეხება თავის სადისერტაციო ნაშრომში ა. შონია (შონია, 2006).

მამასადაძე, ძველი გრამატიკოსებიდან დღემდე, სიტყვაწარმოების შესახებ მრავალი საინტერესო ნაშრომი არსებობს. დროთა განმავლობაში იზრდება, იცვლება ენის ლექსიკა და ენის შესაძლებლობები. სიტყვაწარმოების შესწავლა დღესაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

1.1.1. პრობლემა

წარმოდგენილმა ნაშრომმა უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს: რომელი აფიქსები წარმოქმნიან ქართულ სალიტერატურო ენაში სახელიდან სახელს? რა სახით გამოიყენებოდა ეს აფიქსები ძველ ქართულ ენაში და როგორ ხდება დღეს მათი გამოყენება? პრობლემის აქტუალობაც წარმოჩენილია დასმულ კითხვებში. ნაშრომის პრობლემატიკა ეხება ქართულ ენაში არსებულ სახელიდან სახელის მაწარმოებელ აფიქსებს, მათი განვითარების ისტორიასა და თითოეული მათგანის ფუნქციას ენაში.

1.1.2. კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანია, განვიხილოთ სიტყვაწარმოების ტიპები, კერძოდ სახელთა აფიქსური წარმოების შემთხვევები სალიტერატურო ქართულ ენაში. შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ მიღებულ ფორმათა მორფონოლოგიური ანალიზი. რა ცვლილებას განიცდის ძირი, ფუძე თუ მორფემა ახალი სიტყვის მიღებისას. საანალიზო მასალის თეორიულ ნაწილს ახლდეს პრაქტიკული მასალა, რომ მსჯელობა ნათელი და ადვილად გასაგები იყოს თურქულენოვანი სტუდენტებისთვის. ამ მიზნითვე, ნაშრომის დიდი ნაწილი ვთარგმნოთ თურქულ ენაზე.

1.1.3. კვლევის მნიშვნელობა

ნაშრომი მნიშვნელოვანია ენათმეცნიერული თვალსაზრისით. მასში წარმოდგენილია საკითხის შესწავლის ისტორია. სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით განხილულია აფიქსური სიტყვაწარმოების - სახელთა წარმოქმნის - შესაძლებლობები სალიტერატურო ქართულში. ხშირ შემთხვევაში პარალელები გავლებულია მეგრულ-ლაზურთან. ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა საკითხის შესწავლის ისტორიას. მნიშვნელოვანია, რომ თემის დიდი ნაწილი თარგმნილია თურქულ ენაზე.

ვფიქრობთ, ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულების სტუდენტებსა და ქართული ენის გრამატიკით დაინტერესებულ ყველა პირს.

1.1.4. კვლევის შედეგები

კვლევის ძირითადი შედეგი მდგომარეობს შემდეგში: ნაშრომში თავმოყრილია ქართველ და უცხოელ ენათმეცნიერთა შეხედულებანი სიტყვაწარმოების შესახებ. განხილულია სიტყვაწარმოების შესესაძლებლობანი ქართულ სალიტერატურო ენაში. წარმოქმნილ

სახელთა წარმოება და ტიპები სალიტერატურო ქართულში. წარმოქმნილი სახელები დაჯგუფებულია შინაარსის მიხედვით: ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, აბსტრაქტული, დანისნულების, წინა ვითარების, გეოგრაფიული, ხარისხის, კნინობითი, ხელობის (პროფესიის) სახელები, მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელი სახელები. განხილულია თემასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ნაშრომის ძირითადი ნაწილი თარგმნილია თურქულ ენაზე; ნაშრომს დანართის სახით, ერთვის ამა თუ იმ აფიქსით ნაწარმოები სიტყვები; მასალა ამოღებულია ქართულ-თურქული ლექსიკონიდან.

1.1.5. კვლევის მეთოდიკა

ნაშრომში გამოყენებულია ენის სინქრონიული აღწერის მეთოდი, თუმცა გარკვეულ სტრუქტურებზე მსჯელობისას მოხმობილია ისტორიულ-შედარებითი კვლევის ესა თუ ის ხერხი.

1.2. ლიტერატურა

ამ კვლევაში, მაგალითები გამოყენებულია „ქართულ-თურქული ლექსიკონი“დან (კვანტალიანი, 2010).

1.3. კვლევის მეთოდები

1.3.1. მონაცემთა შეგროვების მეთოდები

მოპოვებული მონაცემები, საკვლევი თემის ძირითადი საკითხის გათვალისწინებით, მიზანმიმართულად იქნა დახარისხებული. შეგროვებული მონაცემების გამოყენებით დეტალურად იქნა დახასიათებული ქართულ ენაში არსებული აფიქსები და მოხდა მათი დაჯგუფება დანიშნულებების მიხედვით.

1.3.2. მონაცემთა შეგროვება

ამ ნაშრომში, მოცემული მასალების შესაკრებად, გამოვიყენეთ ქართული ენის გრამატიკის წიგნები და ქართულ-თურქული ლექსიკონი. აღნიშნული გრამატიკის წიგნებიდან დავამუშავეთ, სიტყვაწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები; მოვიძიეთ თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები.

1.3.3. მონაცემთა ანალიზი

მოპოვებული მონაცემები, საკვლევი თემის ძირითადი საკითხის გათვალისწინებით, მიზანმიმართულად იქნა დახარისხებული. შეგროვებული მონაცემების გამოყენებით დეტალურად დავახასიათეთ ქართულ ენაში არსებული აფიქსები და დავაჯგუფეთ ისინი ფუნქციისა და დანიშნულებების მიხედვით. ასევე დავაჯგუფებულა მიღებული აფიქსური წარმოების სახელები შინაარსის მიხედვით.

მეორე ნაწილი

2.1. სიტყვაწარმოება ქართულ სალიტერატურო ენაში.

ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი სიტყვაწარმოებას მორფოლოგიის საგნად მიიჩნევს, ზოგი კიდევ ლექსიკოლოგიის ნაწილად. არის ასეთი მოსაზრებაც, რომ სიტყვაწარმოება არ ეკუთვნის არც ერთ დარგს, არამედ ის ცალკე მიმართულებას წარმოადგენს. ერთი რამ უდავოა: სიტყვაწარმოება ენის ლექსიკის მარაგის გამდიდრების უშრეტი წყაროა. ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერ ენაში ნაწარმოები სიტყვები ბევრად აღემატება ძირეულ სიტყვებს. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ სალიტერატურო ენის ლექსიკის ფონდზეც. სიტყვაწარმოება მეტად მრავალფეროვნებით ხასიათდება სალიტერატურო ქართულში. საკვლევი თემა მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

2.2. სიტყვა როგორც მორფოლოგიური კატეგორია

საკვლევი თემის დეტალური გაანალიზების მიზნით უპირველესად გვინდა შევხვით სიტყვას, როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას. ზოგადად მიმოვიხილოთ ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები, გავცნოთ სიტყვისშემადგენელ ნაწილებს (ძირი, ფუძე, მორფემა), სიტყვის აგებულებას.

მორფოლოგიურად სიტყვები ქართულში ორგვარია **ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი** (შანიძე, 1953; კვაჭაძე, 1969; ჩიქობავა, 1952; ნებიერიძე, 2003) ფორმაცვალებადია სიტყვა, რომელიც მეტყველებაში სხვადასხვა სახით, ე.ი. ფორმით, იხმარება. მაგალითად : კაცი, კაცმა, კაცს, კაცით... ვწერ, სწერ, წერს ... ფორმაუცვლელია სიტყვა, რომელიც მეტყველებაში ყოველთვის ერთი სახით გვხვდება, ე.ი. არ იცვლის თავის გარეგნობას. ასეთი სიტყვებია: ხვალ, გუშინ, შარშან, იქ, მაგრამ, რომ, ხოლმე, თურმე და მისთ... ფორმაცვალებადი სიტყვებია

სახელები (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი) და ზმნები, ხოლო ფორმაუცვლელია ზმნიზედა, მხლებელი (თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) და შორისდებული.

ფორმაცვალებადი სიტყვა ქართულში ბევრია, ფორმაუცვლელი - ცოტა.

სახელები ფორმას იცვლიან ბრუნვათა მიხედვით, ხოლო ზმნები პირთა მიხედვით ამა თუ იმ მწკრივში. ბრუნვათა მიხედვით სიტყვის ცვალებას ბრუნება ჰქვია, ხოლო პირების მიხედვით ცვალებას - უღლება. მაშასადამე, ფორმაცვალებადი სიტყვები თავის მხრივ ორგვარი ყოფილა: ბრუნებადი (სახელები) და უღლებადი (ზმნები) (კვაჭაძე, 1969, 96-97).

2.2.1. სიტყვის შედგენილობა: ძირი, ფუძე, აფიქსები

ფორმაუცვლელი სიტყვა მთლიანია, ე. ი. არ იყოფა ნაწილებად. ასეთი სიტყვებია, მაგალითად, გუმინ, ხვალ, ზეგ, შარშან და მისთ. ფორმაცვალებადი სიტყვა მორფოლოგიური ანალიზის შედეგად იშლება.

შემადგენელ ნაწილებად. მასში განიყოფა მნიშვნელობის მატარებელი ნაწილი სიტყვისა და მაწარმოებელი ელემენტები. ავიღოთ სიტყვები კაცი და კაცური. კაცი საგანს აღნიშნავს, კაცური - თვისებას. ამ სიტყვებში მნიშვნელობის მატარებელი ნაწილებია კაც- და კაცურ-, ხოლო იმათ გრამატიკულ ფორმას აძლევს.

სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ატარებს მოცემული სიტყვის მნიშვნელობას, ფუძე ჰქვია. მაშასადამე, კაც- და კაცურ- ფუძეებია, ი კი

საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებულია და ფუძეს უპირისპირდება.

ქართულში ბევრი სიტყვა ნაწარმოებია სხვა სიტყვებისაგან. სხვა-

დასხვა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე რამდენიმე სიტყვას ხშირად ერთი საერთო საყრდენი ნაწილი მოეპოვება, რომლისაგანაც ისინი არიან ნაწარმოები. მაგ., **კაც** არის საერთო ნაწილი ისეთი სიტყვებისათვის, როგორცაა: **კაც-ი კაც-ური, კაც-ობა, კაც-ობრიობა, კაც-ობრივი, კაც-უნა, უ-კაც-ური, უ-კაც-რიელი, სა-კაც-ობრიო, ნა-კაც-არი, უ-კაც-ობა, სა-კაც-ე, კაც-ობს, კაც-დება...** ერთი საერთო ნაწილისაგან ნაწარმოებ სიტყვებს, მონა-

თესავე სიტყვები ჰქვია. მაშასადამე, დასახელებული სიტყვები ერთმანეთის მონათესავე სიტყვებია. მონათესავე სიტყვები ერთმანეთს უპირისპირდებიან განმასხვავებელი ელემენტებით. ამიტომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტი მნიშვნელობით, არამედ შედგენილობითაც. **კაც** დასახელებული მონათესავე სიტყვების უმარტივესი საერთო ნაწილია, იგი მეტად აღარ დაიშლება. **სიტყვის დაუშლელ ნაწილს ძირი ეწოდება** (ძირს სხვანაირად მარტივ ფუძესაც ეძახიან). ძირი ატარებს მონათესავე სიტყვების ძირითად

მნიშვნელობას, იგი საგნობრივი მნიშვნელობის მატარებელი ნაწილია სიტყვისა (შანიძე, 1953; კვაჭაძე, 1969).

ძირს თუ ფუძეს დაერთვის ისეთი ელემენტები, რომლებიც საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებული არიან, მაგრამ გარკვეულ ლექსიკურსა თუ გრამატიკულ მნიშვნელობას გადმოგვცემენ. მაგ., **ცხენოსან-ი. ცხენ-** ძირია, **-ოსან** და **-ი** კი დართული ელემენტებია. **-ოსან** ძირს დაერთვის და ახალი მნიშვნელობის სიტყვას აწარმოებს, ხოლო **-ი** ფუძეს დაერთვის და მას გარკვეულ გრამატიკულ ფორმას აძლევს. **-ოსან** და **ი** ცალკე საგნობრივ

მნიშვნელობას მოკლებული არიან.

ძირსა თუ ფუძეზე დართულ ელემენტს მორფემას ანუ ფორმანტს უწოდებენ.

ყოველგვარ მორფემას აფიქსი ჰქვია. აფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია სართი.

ძირი ფუძეც: კაც-ი, კაც-მა, ძირი აქ სამი ბგერით არის გადმოცემული და აფიქსის დაურთველადაც მიუთითებს გარკვეულ საგანზე.

2.2.2. აფიქსები ფუნქციის მიხედვით

ფუნქციის ანუ დანიშნულების მიხედვით აფიქსები ძირითადად ორ ჯგუფად ოყოფა: ერთნი სიტყვას გრამატიკულ ფორმას უცვლიან, მეორენი - ლექსიკურ მნიშვნელობას. გარდა ამისა, მოიპოვება გარდამავალ საფეხურზე მდგომი აფიქსებიც, რომელნიც სიტყვას გრამატიკულ ფორმასაც უცვლიან და რამდენადმე ლექსიკურ მნიშვნელობასაც. ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა კაცი. ამ სიტყვის გრამატიკული ფორმებია; კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ით... ცვალება აქ ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება. კაც ფუძეა (ამავე დროს ძირიც), ხოლო -ი, -მა, -ს, -ის, -ით აფიქსებია. ეს ფორმები ერთსა და იმავე საგანზე მიუთითებენ, ე. ი. მათ აერთიანებს ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა აქ ფუძით არის გადმოცემული. აფიქსები (-ი, -მა, -ს, -ის, -ით...) მას გრამატიკულ ფორმას აძლევენ. ასე, მაგალითად, კაც-ი სახელობითი ბრუნვის ფორმაა, კაც-მა - მოთხრობითისა, კაც-ს - მიცემითისა, კაც-ის -- ნათესაობითისა... (შანიძე, 1953; კვაჭაძე).

სიტყვის ასეთ ცვილებას მიმოხრა ჰქვია, ხოლო აფიქსებს -- მიმოსახრელი ანუ ფორმასაწარმოებელი აფიქსები. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასეთ აფიქსებს ფლექსიასაც ეძახიან.

მიმოსახრელი აფიქსების მნიშვნელობა დიდია. უამათოდ სიტყვები ერთმანეთს ვერ დაუკავშირდება, ფუძეებით აღნიშნულ საგნებს შორის

მიმართება გაურკვეველი იქნება, წინადადება არ აიგება, აზრის გარკვეულად გადმოცემა შეუძლებელი გახდება. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვები; ბავშვ, ამხანაგ, ნახ. აქ სამი ფუძეა/ პირველი ორი საგნებს აღნიშნავს, მესამე -- მოქმედებას. რა მიმართებაა ფუძეებით აღნიშნულ საგნებს შორის, აქ არ ჩანს. მიმოსახრელი აფიქსების დართვით შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა აზრის გადმომხენი წინადადება აიგოს, მაგალითად: 1. ბავშვ-მა ამხანაგ-ი ნახა; 2. ბავშვ-ი ამხანაგ-მა ნახა; 3. ბავშვ-ის ამხანაგ-მა ნახა... პირველ წინადადებაში მნახველია ბავშვი,

ნახული -- ამხანაგი, მეორეში, პირიქით, მნახველი ამხანაგია, ნახული -- ბავშვი, მესამეში მნახველია ამხანაგი, ნახული რაღაც სხვა რამ (და არა ბავშვი), ხოლო ბავშვი აზუსტებს ამხანაგის ვინაობას.

მიმოსახრელი აფიქსები სიტყვათა შეკავშირების გრამატიკულ საშუალებას წარმოადგენენ. მათი მეშვეობით მყარდება გარკვეული მიმართება სიტყვებით აღნიშნულ საგნებს შორის. ამიტომ მათ დამოკიდებულების აღმნიშვნელ აფიქსებსაც უწოდებენ.

სიტყვის გრამატიკული ფორმა ზოგჯერ ფუძითაც გადმოიცემა, სიტყვაში მიმოსახრელი აფიქსი არ გამოიყოფა. ასეთი ფორმებია, მაგალითად: დედა, ძმა, ხე, კლდე, ორმო, ოქრო, რუ, ყრუ და მრავალი სხვ. ესენი ფუძეებია. მათ ამჟამად ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის, მაგრამ ყველა სახელობით ბრუნვაში ივარაუდება. სხვა ბრუნვებში ისინი სათანადო აფიქსებს დაირთავენ:

დედა-მ, დედა-ს, დედ-ის, დედ-ით...

ხე-მ, ხე-ს, ხ-ის, ხ-ით... რაც მთავარია, თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები ანალოგიურ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანს (-ი-ს) დაირთავენ : ბავშვ-ი, ქალ-ი, წიგნ-ი, სახლ-ი, ამხანაგ-ი. ნიშნის მქონე ფორმათა საერთო სისტემაში მიმოსახრელი აფიქსის უქონელი ფუძე გრამატიკული ფორმის

როლს ასრულებს. გარდა მიმოხრისა, სიტყვის ცვალება სხვაგვარადაც შეიძლება. ავიღოთ მონათესავე სიტყვები: სვანი, სვანეთი, სვანური. გრამატიკულად ეს სიტყვები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება. ყველა სახელობითი ბრუნვის ფორმაა. მნიშვნელობით კი ეს სამი სიტყვა სხვადასხვაა. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, როგორც ვიცით, ფუძით გადმოიცემა. ფუძეებია: სვან-, სვანურ-, სვანეთ-. პირველი სიტყვის ფუძე (სვან -) მონათესავე სიტყვათა ძირიცაა. მისგან არიან ნაწარმოები ფუძეები : სვანურ-, სვანეთ- მაწარმოებელი აფიქსებია -ურ და -ეთ (სვანურ-, სვანეთ). ეს აფიქსები ცალკე არაფერს აღნიშნავენ, მაგრამ, როცა ფუძეს (სვან-) დაერთვიან, მას მნიშვნელობას უცვლიან, განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებს აწარმოებენ. მაშასადამე, -ურ და -ეთ მნიშვნელობის მცვლელი აფიქსები ყოფილა.

სიტყვის ასეთ ცვალებას წარმოქმნა ანუ დერივაცია ჰქვია. იმ სიტყვას რომლის, ფუძისაგანაც განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა იწარმოება, ძირეული სიტყვა ჰქვია, ხოლო ძირეულისაგან ნაწარმოებ განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვას წარმოქმნილი ანუ დერივაციული. მნიშვნელობის მცვლელ აფიქსებს წარმოქმნელს ანუ სადერივაციოს უწოდებენ. ჩვენს მაგალითებში ძირეულია სვან-, წარმოქმნილი (დერივაციული) სვანეთ- და სვანურ- . -ეთ და -ურ წარმოქმნელი (სადერივაციო) აფიქსებია.

მიმოხრა და წარმოქმნა სხვადასხვა სახეა სიტყვათა ცვალებისა. მიმოხრის გზით მიღებულ ფორმებს აერთიანებს ერთი და იგივე ლექსიკური მნიშვნელობა - მიმოხრა ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება, წარმოქმნის დროს ერთი ფუძისაგან განსხვავებული მნიშვნელობის ფუძე

იწარმოება. იგი სცილდება ერთი სიტყვის ფარგლებს. მიმოსახრელი აფიქსები ფუძეს დაერთვიან, წარმოქმნენ კი ფუძეში შედიან.

მიმოხრასა და წარმოქმნას შორის გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს. ზოგიერთ აფიქსს, ორი ფუნქცია აქვს; მიმოსახრელიც არის და წარმოსაქმნელიც. ასეთია, მაგალითად, მრავლობითი რიცხვის ნიშნები **ებ**, **ნ**. მაგ., კაც-ი > კაცებ-ი, კაცნ-ი -- ყველა სახელობითშია. ბრუნვის ნიშანია **ნ**. იგი აქ მხოლოდ მიმოსახრელი აფიქსია. კაცი მხოლობითის ფორმაა, კაცები და კაცნი -- მრავლობითისა. **-ებ** და **-ნ** რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებას წარმოადგენენ. ამასთანავე, მრავლობითის ფორმები იმავე საგანზე მიუთითებენ, რაზედაც მხოლობითის ფორმა კაცი. მაგრამ ეს აფიქსები (**-ებ**, **-ნ**) აწარმოებენ ახალ ფუძეებს (კაცებ-, კაცნ-), ძირეულ სიტყვას ნაწილობრივ უცვლიან მნიშვნელობას (კაც- ერთზე მიუთითებს, კაცებ- და კაცნ- მრავალზე). მაშასადამე,

-ებ და **-ნ** სიტყვას გრამატიკულ ფორმასაც აძლევენ და ნაწილობრივ მას მნიშვნელობასაც უცვლიან. ამგვარად , **-ებ** და **-ნ** აფიქსებს საშუალო ადგილი უჭირავთ საკუთრივ მიმოსახრელსა და წარმოსაქმნელ აფიქსებს შორის. ისინი გარდამავალი ტიპის აფიქსებია.

სხვადასხვა აფიქსს, ჩვეულებრივ, ფუნქციაც სხვადასხვა აქვს. ასე, მაგალითად, **-ნ**, **-მა**, **-ს**, **-ის**, **ით...** სხვადასხვა ბრუნვის ნიშანია, **-ელ** ადამიანთა სადაურობის აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს (კახ-ელ-ი, ფშავ-ელ-ი), **-ეთ** -- გეოგრაფიულ სახელებს (კახ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი...) და სხვ... დასახელებული აფიქსები ბგერითად განსხვავებული არიან ერთმანეთისაგან. მათ ფუნქციაც სხვადასხვა აქვთ.

ბგერითად განსხვავებული აფიქსები ზოგჯერ ერთი და იმავე ფუნქციისაა. მაგ, კაც-ებ-ი და კაც-ნ-ი, ხატავ-ს და დახატ-ა, ხატავ-ენ და დახატ-ეს... **-ებ** და **-ნ**, **-ს**, და **-ა**, **-ენ**, და **-ეს** ერთი და იმავე ფუნქციის აფიქსებია, თუმცა ბგერითად ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან. გვაქვს პირიქითაც; ბგერითად ერთნაირი აფიქსი სხვადასხვა ტიპის

სიტყვასთან სხვადასხვა ფუნქციისაა.მაგ., -ს სახელებში : კაც-ს, დედა-ს, ამხანაგ-ს მიცემითი ბრუნვის ნიშანია, მაგრამ იგივე ს ზმნებში: წერ-ს, ხატავ-ს, ჩან-ს... მესამე სუბიექტური პირის ნიშანია მხ.რიცხვში. -ებ სახელებში მრავლობითობას აღნიშნავს (კაც-ებ-ი, სახლ-ებ-ი, წიგნ-ებ-ი...), ზმნებში იგივე ებ თემის ნიშანია (აკეთ-ებ-ს, აშენ-ებ-ს...); -ა ზმნებში (გაკეთ-ა,დაწერ-ა,ააშენ-ა) მესამე სუბიექტური პირის ნიშანია მხ.რიცხვში მაგრამ ეგევე -ა ზოგჯერ საწყისს აწარმოებს (ხატვ-ა,კეთებ-ა,ხვნ-აკერვ-ა...), ან კიდევ ძირეული სიტყვებისაგან განსხვავებული მნიშვნელობის სახელებს (ქერ-ა,ცხენ-ა,დედოფალ-ა).

ამა თუ იმ აფიქსს ქართულში ერთდროულად ერთი ან ერთზე მეტი ფუნქცია აქვს.მაგ., -ებ სახელებში აღნიშნავს მრავლობითს: კაც-ი- კაც-ებ-ი. ებ-ს აქ ერთი ფუნქცია აქვს. ზოგიერთი აფიქსი ორფუნქციანია. მაგ., : მწერალ-თა კავშირი . -თა აწარმოებს მრავლობითსაც და ნათესაობით ბრუნვასაც. მას აქ ორი ფუნქცია აქვს.ქართული იმ ენათა მორფოლოგიურ ტიპს ეკუთვნის, სადაც აფიქსები ერთფუნქციანია. ივარაუდება, რომ აფიქსთა ორფუნქციანობა ქართულში მეორეული მოვლენაა. ისტორიულად: ორფუნქციანი აფიქსები წინათ ერთფუნქციანი უნდა ყოფილიყვნენ.

2.2.3. აფიქსები ადგილის მიხედვით

ადგილის მიხედვით აფიქსი შეიძლება იყოს: პრეფიქსი, სუფიქსი და ინფიქსი (შანიძე, 1953; კვაჭაძე, 1969).

პრეფიქსი ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელის ძირეული სიტყვის ფუძეს წინ უძღვის. პრეფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია თავსართი (წინასართი). მაგ., სა-ყურე, მე-ბაღე, უ-შვილო... სა-, მე-, უ- პრეფიქსებია ანუ თავსართები. პრეფიქსების (თავსართების) საშუალებით წარმოებას პრეფიქსული (თავსართიანი) წარმოება ჰქვია.

სუფიქსი ჰქვია ისეთ აფიქსს, რომელიც ძირეული სიტყვის ფუძეს მოსდევს. სუფიქსს ქართულად ბოლოსართი ჰქვია. მაგ.: კაც-ობა, მებაღ-ე, უქუდ-ო... -ობა, -ე,-ო სუფიქსებია ანუ ბოლოსართები. სუფიქსების საშუალებით წარმოებას სუფიქსური (ბოლოსართიანი) წარმოება ჰქვია.

ძირეულის ფუძისაგან ახალ ფუძეს ხშირად ორ-ორი აფიქსი აწარმოებს : პრეფიქსი და სუფიქსი. მაგ., მე-ბაღ-ე, უ-ქუდ-ო, სა-ქათმ-ე, მე-თა-ურ-ი ... ასეთი წარმოება პრეფიქსულ-სუფიქსურია.

ინფიქსი ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელიც შიგ ჩაერთვის ძირეული სიტყვის ფუძეს. ინფიქსს ქართულად ჩასართი ჰქვია , ინფიქსის საშუალებით წარმოებას - ინფიქსური წარმოება.

ნამდვილი ინფიქსური წარმოება ქართულში არა გვაქვს, ოღონდ არის შემთხვევა, როდესაც ფონეტიკური ფაქტორის წყალობით აფიქსისეული თანხმომავნი ვ ძირში გადავა და ინფიქსად იქცევა: კლ-ავ-ს > კლ-ავ-ა > კლ-ვ-ა > კვლ-ა; ხნ-ავ-ს > ხნ-ავ-ა > ხნ-ვ-ა > ხვნ-ა; ხრ-ავ-ს > ხრ-ავ-ა, > ხრ-ვ-ა > ხვრ-ა. როგორც ვხედავთ, -ავ სუფიქსის ხმოვნის ამოვარდნის შემდეგ ნარნარა ლ ნ რ თანხმომავნების მომდევნო -ვ ძირშია გადასული, ე.ი. სუფიქსია გაინფიქსებული (კვაჭაძე, 1969, 97-103).

2.3. სახელთა წარმოქმნა - ძირეული და წარმოქმნილი სახელები

საანალიზო თემის ნათლად წარმოდგენის მიზნით, შევხებით სიტყვათა ორ დიდ ჯგუფს როგორცაა ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები. ენაში არსებული სახელი, რომლის ფუძისაგანც სხვა სახელია ნაწარმოები, არის ძირეული, ხოლო მისგან სხვა შინაარსით გაკეთებული სახელი - წარმოქმნილი. წარმოქმნილ სახელი სხვა სახელია: მას სხვა შინაარსი აქვს , ვიდრე იმ სახელს, რომლის ფუძისაგანაც ის არის ნაწარმოები. ავიღოთ მაგალითი: ძირეული სახელად ვიგულოთ „მგელი,,

და წარმოქმნათ მისგან ახალი სახელები: მგლ-ებ-ი, მგლ-ობა, მგლ-ური, მგლ-იან-ი, უ-მგლ-ო, სა-მგლ-ე.

2.4. წარმოქმნილი სახელები ფორმის მიხედვით

წარმოქმნილი სახელები შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად; ესაა წარმოქმნილი სახელები ფორმის მიხედვით და წარმოქმნილი სახელები შინაარსის მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. ზემოთ 2.1.4), ფორმის მიხედვით წარმოქმნილი სახელები ქვეჯგუფად იყოფა: ერთი მხრით გვაქვს სახელები, რომელთაც მაწარმოებლად სუფიქსები მოუდის: ხანჯლ-იან-ი, ხანჯლ-ური, ხანჯლ-ობა; მეორე მხრით კი ისეთები, რომელთაც ორ-ორი მაწარმოებელი აქვს, ერთი თავში, მეორე ბოლოში (პრეფიქს-სუფიქსი): სა-ხანჯლ-ე, უ-ხანჯლ-ო, მე-ხანჯლ-ე.

ინფიქსური წარმოების სახელები ქართულში არ მოგვეპოვება. არ მოგვეპოვება არც მარტო პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გამონაკლისებს, როგორცაა: უ-რიცხვ-ი და არა-თი ნაწარმოები სახელები :არაფერი, არა-თითი, არა-იშვიათი, არა-ლეგალური და სხვ.

მამასადამე, წარმოქმნილ სახელს გარკვეული ნიშნები მოეპოვება ფორმობლივი ხასიათისა:

ა-) მას აქვს ფუძე, რომელიც მეტია ძირეულისაზე და განსხვავდება მისგან მნიშვნელობით. ფუძეთა შედარება გამოჰყოფს წარმოქმნილის მაწარმოებელს.

ბ-) წარმოქმნილი სახელი იმეორებს ძირეულის ფორმა-ცვალებას ბრუნვათა მიხედვით. ეს გამეორება მას უნდა გასდევდეს, თუ ყველა ბრუნვაში არა, ბრუნვათა უმეტესობაში მაინც.

მაშასადამე, საკუთარი ფუძის მაწარმოებლის ქონება და ბრუნვის ფორმათა გამეორება - აი ფორმოზოლოგი ნიშნები დერივაციული სახელისა ; მაგალითი ;

ძირეული

წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი

სახ. მგელ-ი	მგლ-ებ-ი	მგლ-იან-ი	მგლ-ობა	სა-მგლ-ე
მოთ. მგელ-მა	მგლ-ებ-მა	მგლ-იან-მა	მგლ-ობა-მ	სა-მგლ-ე-მ
მიც. მგელ-ს	მგლ-ებ-ს	მგლ-იან-ს	მგლ-ობა-ს	სა-მგლ-ე-ს
ნათ. მგელ-ის	მგლ-ებ-ის	მგლ-იან-ის	მგლ-ობ-ის	სა-მგლ-ის
მოქმ. მგელ-ით	მგლ-ებ-ით	მგლ-იან-ით	მგლ-ობ-ით	სა-მგლ-ით
ვით. მგელ-ად	მგლ-ებ-ად	მგლ-იან-ად	მგლ-ობა-დ	სა-მგლ-ე-დ
წოდ. მგელ-ო	მგლ-ებ-ო	მგლ-იან-ო	მგლ-ობა-ვ	სა-მგლ-ე-ვ

შედარება ძირეულსა და წარმოქმნილებს შორის გვარწმუნებს, რომ თვითეულ წარმოქმნილს თავ-თავის მაწარმოებელი აქვს. მოყვანილ მაგალითში. ეს მაწარმოებელია: ებ, იან, ობა, სა-ე. მაგრამ მაწარმოებლები სხვაც ბევრია.

განსხვავება ძირეულსა და წარმოქმნილს შორის. გრამატიკული ერთობა ძირეულსა და წარმოქმნილს შორის გარკვეულ ფარგლებშია ჩაყენებული :მსგავსებას ისინი იმ მხრივ გვიჩვენებენ, რომ ერთნაირი ფორმაცვალება მოუდით,- ორნივე იბრუნვიან. ეს კი ნიშნავს , რომ მათ წინადადებაში , სხვა სიტყვებთან შეწყობისას, ფუნქციაც შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ.

მიუხედავად ასეთი მსგავსებისა, უნდა აღნიშნოს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაც:წარმოქმნილი სახელები უმეტესად სხვა

მეტყველების ნაწილს. განეკუთვნებიან, ვიდრე მათ-მათი ძირეულები :უფრო ხშირად არსებითისაგან ზედსართავია ნაწარმოები და ზედსართავისაგან-- არსებითი;წეს-ი:წეს-იერ-ი, უ-წეს-ო (უ-წეს-ურ-ი);მგელი: მგლ-იან-ი, უ-მგლ-ო, მგლ-ურ-ი, სა-მგლ-ე; გული:გულ-იან-ი, გულ-ოვან-ი,უ-გულ-ო, სა-გულ-ე ;ტყე :ტყ-იან-ი, უ-ტყე-ო, სა-ტყე-ო და სხვ .;ყვითელი :სი-ყვითლ-ე; შავი :სი-შავ-ე და სხვ.

გვაქვს , რა თქმა უნდა, არსებითისაგან არსებითიც (წიგნ-ი:წიგნ-აკ-ი; ბუჩქ-ი > ბუჩქ-ნარ-ი; მგელ-ი > მგლ-ები; მხეც-ი > მხეც-ობა და მისთ., ან კიდევ ზედსართავისაგან: ყვითელ-ი > უ-ყვითლ-ეს-ი, მო-ყვითალ-ო და მისთ. და რიცხვითისაგან: ხუთ-ი > მე-ხუთ-ე, მაგრამ წარმოქმნილ სახელთა უმეტესობა, მეტყველების ნაწილთა თვალსაზრისით, განსხვავებულია თავ-თავისი ძირეულისაგან.

ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ არსებითისაგან ზედსართავი წარმოვქმნათ და ამისგან კიდევ-ახალი არსებითი: ძალ-ი > ძლ-იერ-ი > ძლიერ-ება, ხავს-ი > ხავს-იან-ი > ხავსიან -ობა, გულ-ი > გულ-ად-ი > გულად-ობა და მისთ.

2.5. წარმოქმნილ სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით

წარმოქმნილი სახელები შეიძლება დავაჯგუფოთ მათი შინაარსის ანუ მნიშვნელობის გათვალისწინებით. შინაარსის მიხედვით წარმოქმნილ სახელებში შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: კნინობითი, ქონებისა, უქონლობისა, წარმომავლობისა, აბსტრაქტული, დანიშნულებისა, წინა ვითარებისა, ხელობისა, რიგობითი, წილობითი, გეოგრაფიული, ხარისხისა და სხვ. გავეცნოთ მათ უფრო დაწვრილებით:

2.5.1. ქონა-ყოლის სახელები

როგორც სახელიდანაც ჩანს, მიღებული სახელი აღნიშნავს რაღაცის ქონას ან ყოლას. ამ ჯგუფში რამდენიმე მაწარმოებელი გვაქვს. ყველა მათგანი ბოლოსართია. ესენია; -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ედ, -ა.

ა) -იან: ამჟამად - იან-ი აღნიშნავს ყოლა-ქონებას; ბად-იან-ი, მთ-იან-ი, სოკო-იან-ი, ღრუ-იან-ი, ხორც-იან-ი, ცხენ-იან-ი, ცოლ-იან-ი, ცხვრ-იან-ი, საქონლ-იან-ი, წვერ-იან-ი და სხვ.

ჩვენ მიერ მოძიებული მასალა ასეთია:

გაზი - გაზიანი:

ნიკოს გაზიანი წყლები ძალიან უყვარს.

გესლი - გესლ-იან-ი

გესლიანი ლაპარაკი ყველას გულს სტკენს.

დიპლომი - დიპლომ-იან-ი:

ანას შეყვარებული დიპლომიანი ბიჭია.

ეჭვი - ეჭვ-იან-ი:

ეჭვიანი ადამიანები ადრე ბერდებიან.

ეკალი - ეკლ-იან-ი

ვარდი ეკლიანი ყვავილია, მაგრამ მაინც ყველას მოსწონს.

-იან სუფიქსი მოუდის როგორც ხმოვანფუძიან ისე თანხმოვანფუძიან სახელებს. -ა და -ე ხმოვანფუძიანი სახელებს -იან სუფიქსის დართვისას ფუძისეული ხმოვანი ეკვეცებათ. მაგ. გზა > გზ-იან-ი, ტყე > ტყ-იან-ი...

როგორც ვიცით, -ო და -უ ფუძემდამთავრებული სახელები სალიტერატურო ქართულში ბრუნებისას უკვეცელია, აღნიშნული ხმოვნები არც -იან სუფიქსის დართვისას არ იკარგებიან. თანხმოვანუძიენებზე დართვისას ფუძეკუმშვადი სახელები ჩვეულებრივ, იკუმშებიან: **კედელი > კედლ-იან-ი, ატამი > ატმ-იან-ი...** იგივე შეიძლება ითქვას კუმშვად-კვეცად სახელებზეც - **პეპელა > პეპლ-იან-ი, ტომარა > ტომრ-იან-ი...**

ბ) **-იერ // -იელ:** გან-იერ-ი, გონ-იერ-ი, ზეც-იერ-ი, ზომ-იერ-ი, კანონ-იერ-ი, მაღლ-იერ-ი, მანკ-იერ-ი, მიწ-იერ-ი, ნიჭ-იერ-ი, სინდის-იერ-ი, ღონ-იერ-ი, ძლ-იერ-ი, წეს-იერ-ი, ხნ-იერ-ი, (გულის)-ხმ-იერ-ი, ხორც-იელ-ი და სხვ.:

ბედი - ბედნ-იერ-ი:

ნინო წელა სტუდენტი გახდა და ის ძალიან ბედნიერია.

გონი - გონ-იერ-ი:

პატარა ნიკუშა გონიერი ბიჭია.

ძალა - ძლ-იერ-ი:

ლომი ყველაზე ძლიერი ცხოველია და ა. შ.

„-იერ“-ი მოიპოვება აგრეთვე ზმნათა ფუძეებისაგან ნაწარმოებ სიტყვებში; მშ-იერ-ი, შვენ-იერ-ი (ჰ-შვენ-ის; შემდეგ მ-ს დართვით; მ-შვენ-იერ-ი), ლმობ-იერ-ი, ხნობ-იერ-ი, ყნოს-იერ-ი, ცბ-იერ-ი, *მე-ხს-იერ-ი (აქედან; მეხსსიერება), მე-ცნ-იერ-ი, წად-იერ-ი (აქედან; წადიერება), კადნ-იერ-ი (ი-კადრ-ა; *კადრ-იერ-ი -- კადნ-იერ-ი).

„იერ“ სუფიქსს დღეს აღარ შესწევს ძალა, რომ ახალ-ახალი ფუძეებისაგან აწარმოოს სახელები. მისი ადგილი ან მხრივ იან-მა დაიჭირა.

აღნიშნულ შემთხვევაშიც კუმშვა-კვეცის მიხედვით იგივე მდგომარეობა გვაქვს: კვეცადი ფუძეები -იერ სუფიქსის დართვისას იკვეცებიან, კუმშვადები - იკუმშებიან. რაც შეეხება -იერ > -იელ პროცესს საქმე გვაქვს დისიმილაციასთან; თუ სახელის ფუძეში გვაქვს -რ ხმოვანი - იერ აფიქსის დართვისას აფიქსისეული რ გადადის ლ-ში: ხორცი > ხორც-იელ-ი...

გ) -ოსან აღნიშნავს რისამე მატარებელს ან მქონებელს; მანდილ-ოსანი (ვინც მანდილს ატარებს, -- ეპითეტია დედაკაცისა), ქუდ-ოსანი (იპითეტია მამაკაცისა), ჩოხ-ოსანი, ცხენ-ოსანი, მშვილდ-ოსანი, ვეფხის-ტყა(ვ)-ოსანი, ფრთ-ოსანი, ჯვარ-ოსანი და მასთ.

ფრიადი - ფრიად-ოსანი:

ნათია ფრიადოსანი გოგოა.

ჩანთა - ჩანთ-ოსანი:

კენგურუ ჩანთოსანი ცხოველია.

დ) -ოვან: დამოწმებულია რამდენსამე სახელში; გურ-ოვანი, სახელ-ოვანი, კლდ-ოვანი, ფერ-ოვანი (ერთ-ფერ-ოვანი) და სხვა. გვხდება აგრეთვე სოფლის სახელებში; ვაშლ-ოვანი, ლელ-ოვანი, თელ-ოვანი, გორ-ოვანი, ლამ-ოვანი.

ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში გვაქვს:

ასაკი - ასაკ-ოვანი:

ჩვენი უბნის ექიმი ასაკოვანი კაცია.

სახელი - სახელ-ოვანი:

ომში სახელოვანი ვაჟკაცები მიდიან.

ე) -ედ: უჯრ-ედ-ი, კარ-ედ-ი, სამკუთხ-ედ-ი...

მათემატიკის გაკვეთილებს უჯრედიან რვეულებში ვწერთ.

საკუთხედი არის ისეთი საგანი რომელსაც სამი კუთხე აქვს...

ვ) -ა: ეს მაწარმოებელი ქონების წარმოდგენას გვაძლევს გარკვეული ტიპის სახელში; წითელ-პერანგ-ა, შავ-ტარ-ა დანა, სქელ-კისერ-ა, „ცალ-თვალ-ა“, ორფეხ-ა, ცხრა-ფეხ-ა, ას-ფურცელ-ა, თორმეტ-გოჯ-ა ნაწლავი და სხვ. როგორც მაგალითებიდან ჩანს, ასეთი წარმოების სახელებს ჩვეულებრივ მსაზღვრელი ახლავს წინ (რიცხვითისა ან ზედსართავი სახელის სახით):

ულვაში - ულვაშა:

ულვაშა იგივე ულვაშებიანს ნიშნავს.

ცალი თვალი - ცალთვალა

ჩემს ქუჩაში ერთი ცალთვალა კატა დადის.

ეგვე მაწარმოებელი გამოყენებულია მსგავსების აღსანიშნავად. მსგავსება შეიძლება იყოს ფერისა, მოყვანილობისა ან სხვა რამე ნიშნის მიზეზით; ქერ-ა (ქერის ფერი), სვილ-ა (სვილის ფერი; სვილი -- ჭვავი), შვიანდ-ა (შვინდის ფერი), ღვინ-ა (ღვინის ფერი; აქედან კნინობითი; ღვინ -- ხარის სახელია), წითელ-ა (ავადმყოფობაა), მაყვალ-ა (ქალის სახელია) და სხვ.

ქონების სახელთა მაწარმოებელი სუფიქსთაგან -იან,-იერ,-ოვან, -ა ძირათადად მიმართებით ზედსართავ სახელებს წარმოქმნის (შვილიანი ქალი, ძლიერი ქარი, მხცოვანი მეცნიერი, ლურჯთვალა ია...), -ოსან, -ედ მაწარმოებლები - არსებითს (მანდილოსანი შემობრძანდა, ავაგოთ სამკუთხედი ...) თუმცა შესაძლოა, კონტექსტის გათვალისწინებით

(კონტექსტი ეწოდება ტექსტის შინაარსობრივად დასრულებულ ნაწყვეტს, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს მასში შემავალი ცალკეული სიტყვის ან ფრაზის მნიშვნელობა), მათ სხვა მეტყველების ნაწილის მნიშვნელობაც ჰქონდეთ. შდრ:ლურჯთვალა იას ვხედავ (ლურჯთვალა ზედსართავი სახელია) და : ლურჯთვალამ მომხიბლა (ლურჯთვალა არსებითი სახელია).

-იან, -იერ, -ოსან, -ოვან სუფქსური წარმოების ქონების სახელები გვაქვს მეგრულ ლაზურშიც. მაგ.: ხორც-იან-ი „ხორციანი“, ხან-იერ-ი „ხნიერი“... (შონია, 2006).

2.5.2. უქონლობის სახელები

უქონლობის გადმოსაცემად სალიტერატურო ქართულში გამოიყენება უ-ო და უ-ურ პრეფიქს-სუფიქსები:

ა) უ -- -ურ (რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით -უ -- -ულ): გვხვდება რამდენსამე სახელში; უ-ბედ-ურ-ი, უ-მად-ურ-ი, უ-გუნ-ურ-ი (ხმოვანთა ასიმილაციით; უ-გუნ-ურ-ი, ფუძისეული ხმოვნის ამოღებით: უ-გნ-ურ-ი), უ-მად-ურ-ი (მადლ-იერ-ი), უ-გემ-ურ-ი, უ-დღე-ურ-ი, უ-ძუძ-ურ-ი, უ-ძლ-ურ-ი და მისთ;

ბ) უ - -ო: ჩვეულებრივი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა არსებითთაგან: უ-გულ-ო, უ-კბილ-ო, უ-ხელ-ო, უ-ფეხ-ო, უ-ჭკუ-ო, უ-ცოლ-ო, უ-შვილ-ო, უ-წყლ-ო და ა. შ.

უ-ო, უ-ურ კონფიქსების შესახებ ა.შანიძე აღნიშნავს :„ ესენი ერთნია წარმოშობით, მაგრამ მათი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოგიურად: უფრო ძველია უ-ურ, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული . სამაგიეროდ

დღესაც მკვიდრია უ-ო, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა ახალ სიტყვათა ფუძეებისაგან, (შანიძე, 1980, 126).

მ.ტუსკიას აზრით, უ-ო კონფიქსიანი მოდელი ძველთაგანვე უფრო მოქმედი და გავრცელებული იყო, უ-ურ კი ვერ აწარმოებდა უქონლობის აღმნიშვნელ ყველა სახელს (ტუსკია, 1993, 130).

უ-ურ დაერთვის მეტწილად არსებით სახელთა ფუძეებს, იშვიათად-ზედსართავეებს. თვით წარმოქმნილი სახელები კი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ზედსართავეებია : უ-ბედ-ურ-ი, უ-წიგნ-ურ-ი, უ-წმინდ-ურ-ი უ-დღე-ურ-ი, უ-საქმ-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი...

წარმოშობით ზედსართავია, მაგრამ არსებითად არის ქვეული უ-ქმ-ურ-ი, უ-ფსკრ-ურ-ი (შანიძე, 1980, 126).

საკუთრივ უქონლობის შინაარსი დაკავშირებული უ- პრეფიქსთან, რომელიც გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, მომდინარეობს ვე (-ეე) უარყოფითი ნაწილაკისაგან. ამ ნაწილაკის ვარიანტი უარყოფის უ-პრეფიქსის სახით დასტურდება ყველა ქართველურ ენაში : ქართ. უ-ჭმ-ელ-ი, მეგრ. უ-ჭკომ-ურ-ი, ჭან. უ-გებ-ე, სვან. უ-მჩ-ა (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1994, 323). ი.ყიფშიძის აზრით, უ-იგივე წარმოშობის ფორმანტია, რაც უფრობითი ხარისხის ფორმებში (ყიფშიძე, 1994, 536). უქონლობის სახელებში წარმოდგენილი -ო,-ურ სუფიქსები ისტორიულად სახელის ფუძის მაწარმოებელი ფორმანტებია (ბ.ჯორბენაძე, 1984, გვ.138-139).

საგნის უქონლობის გადმოსაცემად აღნიშნული პრეფიქს-სუფიქსები მეგრულ-ლაზურში შესწავლილი აქვს ა. შონიას (შონია, 2006).

უარყოფითობის წარმოებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ნინო ჭუმბურიძის ნაშრომი - „უქონლობის სახელები ქართულში“ (ჭუმბურიძე, 1995, 21- 26). „უ-ურ კონფიქსის დართვა იწვევს ფუძისეული

ხმოვნის ამოვარდნას: უ-ძლ-ურ-ი, უ-ფსკრ-ულ-ი. ზოგჯერ რედუცირებული და არარედუცირებული ფორმები ერთმანეთის პარალელურად გვაქვს ენაში : უჟმური // უჟამური, უგნური // უგუნური უ-ურ კონფიქსის დართვისას იკვეცება ბოლოკიდური ხმოვანი: უ-დაბ-ურ-ი, უ-წმინდ-ურ-ი, უ-საქმ-ურ-ი, უ-სახ-ურ-ი, უ-ამ-ურ-ი, უ-სუს-ურ-ი, უ-გემ-ურ-ი. უ-ძუძ-ურ-ში ძნელი სათქმელია, ბოლო უ ფუძისეულია თუ სუფიქსისეული, მაგრამ სხვა ბოლოხმოვანი სახელთა ანალოგიით აქავ ფუძისეული უ ივარაუდება მოკვეცილად.

უნდა აღინიშნოს, რომ როცა უ-ურ ერთმარცვლიან ფუძეებს დაერთვის ბოლოკიდური ე შენარჩუნებულია: უ-დღე-ურ-ი, უ-ზნე-ურ-ი.

უ-ურ-ის დართვისას იკარგება ბოლოკიდური ლ თანხმოვანი: მადლ-ი > უ-მად-ურ-ი, ხამლი > უ-ხამ-ურ-ი, კეთილ-ი > უ-კეთ-ურ-ი: იკარგება აგრეთვე ბოლოკიდური ვ, როცა მას წინ ხმოვანი უძღვის : უ-თავ-ურ-ი.. უ-თა-ურ-ი.

უ-ო კონფიქსი, როგორც უკვე აღნიშნეთ, გაცილებით უფრო ფაროდ არის გავრცელებული , ვიდრე უ-ურ. ის უქონლობის სახელებს აწარმოებს არსებითი სახელებისაგან (უ-იმედ-ო, უ-იარად-ო, უ-ბინა-ო, უ-რქ-ო, უ-ეკლ-ო, უ-მზე-ო...), ზედსართავისაგან (უ-ლამაზ-ო, უ-ბოროტ-ო, უ-მხნე-ო...), კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან (უ-ჩემ-ო, უ-შენ-ო, უ-იმის-ო...) და უდეტრებისაგანაც კი (უ-თუ-ო, უ-ებრ-ო...).

უ-ო-თი უქონლობის სახელები იწარმოება ენაში ახალშემოსული , უცხო წარმომავლობის ფუძეებისაგანაც : უ-კონტაქტ-ო, უ-პრეტენზი-ო, უ-პასტერიზავი-ო...

ფუძედ შესაძლოა გამოყენებული იქნეს თხზული სახელიც (უ-თვისტომ-ო, უ-დედმამ-ო, უ-ხელფეხ-ო ...) და სინტაგმაც (უ-ამსიძღერ-ო, ულამაზქალ-ო, უ-დედისალერს-ო...) (ჯორბენაძე, 1984, 139). ამგვარი

ორშემადგენლიანი უარყოფითი ფორმის ვითარებით ბრუნვაში დასმით იწარმოება უარყოფითი ზმნისართები : უმიწაწყლოდ, უშვილძიროდ, უთავშესფაროდ, უამვარსკვლავოდ... როგორც მ. სუხიშვილი აღნიშნავს , ამგვარი წარმოება სალიტერატურო ქართულისათვის უჩვეულო და მოულოდნელი არ ჩანს. ის გვხვდება „ვეფხისტყაოსანში,, „რუსუდანიასში,, საშუალო საუკუნეების იურიდიული დოკუმენტები ენაში... (სუხიშვილი,1984,179).

უ-ო კონფიქსის დართვა იწვევს ფუძის რედუქციას როგორც ერთმარცვლიან, ისე ორ-სამმარცვლიან ფუძეებში: უ-კვლ-ო, უ-მტრ-ო, (უ-მეტრ-ო), უ-მტვრ-ო (უ-მტვერ-ო), უ-ღვთ-ო (უ-ღმრთ-ო, უ-ღმერთ-ო), უ-წვნი-ო, უ-ბეჭდ-ო, უ-მეგობრ-ო...

შედარებით იშვიათად გვხვდება ო ხმოვნის რედუქციაც : უ-მაწვნი-ო, უ-ფოთლ-ო, უ-საპნი-ო...

-უ ხმოვნის რედუქციის იშვიათი შემთხვევაა უ-პატივცემლ-ო (// უ-პატივცემულ-ო).

ხმოვანფუძიან სახელები უ-ო კონფიქსის დართვისას უმეტესწილად კარგავენ ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს : უ-ძმ-ო, უ-ხმ-ო, უ-მად-ო, უ-დედმამ-ო, უ-ენერგი-ო, უ-კიდ-ო, უ-საქმ-ო, უ-საფრთხ-ო, უ- მემკვიდრ-ო ...

გამონაკლისის სახით, ზოგ ფუძეში ა შენარჩუნებულია: უ-სუფთა-ო, უ-ბინა-ო ; დაცულია ფუძის ბოლოკიდური ე ხმოვანიც , ოღონდ მხოლოდ ერთმარცვლიან ფუძეებში:

უ-მზე-ო, უ-ზნე-ო, უ-ტყე-ო, უ-დღე-ო ...

თავისებური ვითარება გვაქვს ო-ბოლოხმოვნიანი სახელებთან. მათგან ნაწარმოები ზოგი უქონლობის სახელი ბოლოში მხოლოდ ერთ ო-ს გვიჩვენებს: უ-შნო (ჯორბენაძე, 1984, 139; მდრ. : ა.შანიძე, 1980, 127) , უ-ღვინო,

უ-სამშობლო, უ-თავბოლო. თუ არ ჩათვლით, რომ აქ ფუძისეული ო არის მოკვეცილი, მაშინ ეს სახელები ოდენპრეფიქსული წარმოების იშვიათ ნიმუშებს უნდა მივაკუთვნოთ (მდრ.: უ-რიცხვ-ი,უ-მსგავს-ი...)

ზემოხსენებულთა გვერდით გვხვდება ისეთი ფორმებიც, სადაც ბოლოში ორივე ო დაცულია- ფუძისეულიც და სუფიქსისეულიც: **უ-დრო-ო, უ-ალო-ო, უ-ბოლო-ო, უ-პალტო-ო...** ერთმანეთის პარალელურად გვაქვს: უ-სასო და უ-სასო-ო. ეს ორი ო ცოცხალ მეტყველებაში ხშირად ვ თანხმობით არის გამიჯნული (უდროვო,უპალტოვო...),მაგრამ ასეთი ფორმები დღეს არალიტერატურულად მიიჩნევა. მაშინ კი, როცა უ-ო ერთვის ვ-ზე დაბოლოებულ სახელებს, ო-ს წინ ფუძისეული ვ-ს დაცვა სავალდებულად ითვლება: **უ-თავ-ო, უ-დავ-ო, უ-ექვ-ო...** თუმცა გვხვდება გამონაკლისებრივ: **უ-პატი-ი, უ-მოძრა-ო ...**

უ-ო და უ-ურ წარმოება გვხვდება ერთი და იმავე ფუძეებთან: **უ-ბედ-ო // უ-ბედ-ურ-ი, უ-დღე-ო // უ-დღე-ურ-ი, უ-ზნე-ო // უ-ზნე-ურ-ი, უ-ფერ-ო // უ-ფერ-ულ-ი,უ-გონ-ო// უ-გნ-ურ-ი ...** როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ასეთი პარალელური წარმოება მნიშვნელობის მიხედვით განსხვავების ტენდენციას ქმნის (შანიძე, 1980, 127; თოფურია, 1979, 77-78 ; ჯორბენაძე, 1984, 139; ტუსკია, 1993, 131).

უ-ო კონფიქსით ნაწარმოები ზოგი უქონლობის სახელის ფუძე დადებითი მნიშვნელობით, ამ კონფიქსის გარეშე, დღეს ჩვეულებრივ აღარ იხმარება ,მაგრამ გვხვდება ძველ ქართულში ან დიალექტებსა თუ სხვა ქართველურ ენებში. ზოგჯერ ეს ფუძე სხვა ენიდან არის ნასესხები. ერთი სიტყვით, მათი ეტიმოლოგიის დადგენა შესაძლებელია.

ძველი ქართულიდან ცნობილი სოციალური ტერმინია უაზნო, რომელიც ჯერ კიდევ „ შუშანიკის წამებაში„ გვხვდება :

„მსგავსადვე მისვე სახისა ... აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“.

ნასესხები სიტყვებისაგან არის წარმოქმნილ აგრეთვე უქონლობის სახელი უბელო, რომელიც ნიშნავს შეუკაზმავ, უუნაგირო ცხენს ან ჯორს.

მხოლოდ უ-პრეფიქსით არის ნაწარმოები უ-ხეშ-ი, რომელიც, ნ. ჭუმბურიძის აზრით, უკუთქმით მიმღობაა ზმნისა მოხეშვა. ზმნა სალიტერატურო ენისათვის უცნობია, გვხვდება მხოლოდ დიალექტებში, ისიც იშვიათად და რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობებით, რომელთაგანაც ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს „მოთელვა“, „მოდრეკა“ (ჭუმბურიძე, 1995, გვ. 21-25).

საყურადღებოა ის ფაქტი რომ ერთი და იგივე მნიშვნელობა შეიძლება ვაწარმოოთ სხვადასხვა აფიქსით. მაგ., კული : **კულა** „კულის არ მქონე ან „მოკლე კულის მქონე, შდრ.: **უკულო** - კულის არ მქონე. ამ შემთხვევაში -ა სუფიქსი იმხრავს არის საინტერესო რომ ზოგ შემთხვევაში ის ქონების აღმნიშვნელადაც გვაქვს შდრ. ქერა... (იხ. ზემოთ „ქონა-ყოლის სახელები“).

2.5.3. კნინობით-ალერსობითი სახელები

კნინობითია წარმოქმნილი სახელი, რომელიც ძირეულ საგანს უფრო შემცირებულად წარმოგვიდგენს. მაგ.: **გორი** > **გორ-აკ-ი**, **ცხენი** > **ცხენ-უკ-ა...**

კნინობითი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი მხრით ალერსის გამოსახატვად (ალერსობითი სახელი) და მეორე მხრით დამცირების მიზნით (დამცირებითი სახელი).

კნინობითი ფორმების წარმოება სალიტერატურო ქართულში მაინცადამაინც გავრცელებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მაწარმოებელი გვაქვს: **კნინობით-მოფერებითი** სიტყვები

ძირითადად დაირთავენ: -ა, -აკ, -იკ-(ო), -უკ, -ან, -უნ, -ინ, -უნ, -უკ, -ატ, -იტ, -უტ, -ოტ, -ალ, -ილ, -ელ, -ულ, -უჭ, -უჩ სუფიქსებს (წიგნ-აკ-ი,კაც-უნ-ა,ბიჭ-იკ-ო...).

კნინობით სუფიქსთა გამოყენება განსაკუთრებით ხშირია მათი ქართული ენის დიალექტებში (გეგუჩაძე, 1999, 81-88).

ა) -ა : ეს მაწარმოებელი შედარებით ძალიან გავრცელებულია მთის კილოებში (მაგ.,ფშაურში, მოხეურში), სალიტ. ენაში კი იშვიათად გვხვდება : კაც-ა (პატარა კაცი),ცხენ-ა (პატარა ცხენი),დედოფალ-ა (პატარა დედოფალი, სათამაშო), ქალ-ა, ვაჟ-ა, რუ-ა (პატარა რუ) და სხვ.

ეგვე კნინობითის ა გვაქვს ადამიანთა საკუთირ სახელებში; ბეჟან-ა, დივით-ა, სიმონ-ა, ლუარსაბ-ა, დარეჯან-ა, საბედ-ა (ელისაბედ-ა), იმედ-ა და მისთ.. იგივე ა არის ასეთ სახელებში; პეტრი-ა, პავლი-ა, გიგუ-ა, ვასუ-ა, ნინუ-ა, თიკუ-ა, და სხვ. (მოსალიდნელი იყო; პეტრე-ა, პავლე-ა, გიგო-ა, ვასო-ა, ნინო-ა, თიკო-ა...). ასეთივე წარმოებისაა საზოგადო საზელი ძალუა-ც (*ძალო-ა; მიდებულია წოდებითი ფორმისაგან, რომელიც სახელობითად ქცეულა; [რ]ძალო- ა).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კნინობითის ა ერთვის ფუძის, თუ ის თავდება თანხმოვნით ან ო უ ხმოვნებით; მაგრამ, თუ ფუძე თავდება ა-თი, მაშინ მაწარმოებელია ია; და-ია. აქ ფუძისეული ა შენახულია (ფუძის სიმოკლის გამო), მაგრამ ჩვეულებრივ შეკვეცილია; ძამ-ია (ძველი *ძაგან), ბიძ-ია (შემოკლებით; ძია).

კნინობითის ა მიღებულია აკ ისაგან, რომელიც ამჟამად წიგნ-აკში და გორ-აკში შემონახული.

სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენა ცდილობს გაავრცელის აკ-ის ხმარება; ბაგირ-აკ-ი, ლილვ-აკ-ი, მილ-აკ-ი, ხაზ-აკ-ი და მასთ.

-უკ: მამ-უკ-ა, ძამ-უკ-ა, ნან-უკ-ა, გლახ-უკ-ა... ეს მაწარმოებელი დიალექტურად იხმარება (უმეტესად რაჭაში); ჩვეულებრივ მას კიდევ ერთვის ა (უკ-ა); ცხენ-უკ-ა, ხბო-უკ-ა, მარტო-კ-ა (--*მარტო-უკ-ა), თით-უკ-ებ-ი და სხვ.. ეგევე მაწარმოებელი გვაქვს საკუთარ სახელებში; ან-უკ-ა, გლახ-უკ-ა.

-იკ: უფრო ხშირად ო-ც დაერთვის; დედ-იკ-ო, მამ-იკ-ო, ძამ-იკ-ო, და-იკ-ო... იკ-ო. ეს ო თავდაპირველად წოდებითის ნიშანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ იგი ფუძეს შეზრდია. ამჟამად იკო უფრო ადამიანთა სახელებში გვხვდება; სოლ-იკო, დათ-იკო, ვას-იკო, გოგლ-იკო, თამრ-იკო (თალ-იკო), მა-იკო და სხვ.; იშვიათად აგრეთვე საზოგადო სახელებშიც; მამ-იკო, დედ-იკო, და-იკო, ბიჭ-იკო (იხმარება მიმართვისას; კაცის საკუთარი სახელიც არის), სულ-იკო (ალერსობითია, იხმარება მიმართვისას).

-ილ: ეს მაწარმოებელი მარტოოდენ ორი სახელისაგან აწარმოებს კნინობითის ფორმებს, რომელთაც ალერსობითის მნიშვნელობა აქვს, თანაც დართული აქვს ო (ილ-ო); მამ-ილო, დედ-ილო. შეიძლება ამათ მთელი მარცვალი მოეკვეცოს ბოლოში და მივიღოთ; მამი, დედი.

-უნ-ა: ეს რთული მაწარმოებელი რამდენსამე სახელში გვხვდება; კაცუნა ბიჭ-უნა, გოგო-ნა (--*გოგო-ვნა--*გოგო-უნა), კოლო-ნა (--კოლო-ვნა--კოლო-უნ-ა), დათ-უნა (*დათვ-უნა), ჩიტ-უნ-ა, თაგ-უნა (თაგვ-უნა), კატ-უნა, (კატუნია), ციც-უნა (ციცუნია), ვაც-უნა, წალდ-უნა. კაცის სახელები; პაპ-უნა, გლახ-უნა, *გი(ვ)-უნა (აქედან გვარი გიუნაშვილი).

კნინობითის ფორმები არსებითად დაკარგა სალიტერატურო ქართულმა; ისეთი სახელები, როგორცაა; თავი, ხელი, ფეხი, თვალი,

კბილი, სახლი, კარი, ეზო, ხე, ბალი და მრავალი სხვა, კნინობითის ფორმებს ვერ აწარმოებენ. ამიტომ იძულებული ვერთ ხოლმე, რომ სათანადო აზრი აღწერილობით გამოვთქვათ; პატარა თავი, პაწაწა თითები, პატარა ეზო და მასთ.

კნინობით-ალერსობითი სახელები არსებითებია.

კნინობით-ალერსობითი სახელების სალიტერატურო ქართულის მსგავსი წარმოება გვაქვს მეგრულსა და ლაზურში (შონია, 2006).

2.5.4. წარმომავლობის სახელები

ერთი წყება სუფიქსებისა აღნიშნავს წარმომავლობას: -ელ, -ურ, -იურ, -დელ, -ეულ.

-ელ მაჩვენებელია სადაურობისა ადამიანთათვის: გორ-ელ-ი, ონ-ელ-ი, ქალაქ-ელ-ი, სოფლ-ელ-ი, მოსკოვ-ელ-ი, ამერიკ-ელ-ი და მისთ.

წინადადებაში „იმერლმა, უთხრა კახელს, წარმოქმნილი სახელები არსებითებია, მაგრამ -ელ მაწარმოებლიანი სახელი შეიძლება ზედსართავი სახელის ფუნქციითაც იქნეს გამოყენებული : იმერელმა აზნაურმა უთხრა კახელ თავადს,“

დღევანდელი -ელ სუფიქსის ნაცვლად წარმომავლობის სახელებს ძველ ქართულში მ-ელ კონფიქსი ჰქონდათ (გავიხსენოთ ძველი ქართულის „მეგვიპტელი,“ რაც, „ეგვიპტელს,“ ნიშნავს). ეს ძველქართული მაწარმოებელია შემორჩენილი სიტყვებში მ-აჩაბ-ელ-ი (აჩაბ-ეთ-ი სოფელია შიდა ქართლში), მ-ეგრ-ელ-ი (შდრ. ეგრ-ის-ი) და სხვა.

იმ სახელებს, რომელთაც ის და ეთ სუფიქსი აქვთ, ძველად ჩამოკვეცებოდა ეს სუფიქსები და ისე დაერთოდა ელ ,რასაც რამდენადმე ეხლაც აქვს ადგილი:წავკ-ის-ი და შინდ-ის-ი სოფლებია თბილისის ახლოს

(კოჯრის გზის მარჯვნივ და მარცხნივ);იქაური მცხოვრებელი ამბობენ,რომ ისინი არიან წავკ-ელ-ები და შინდ-ელ-ები (არა:წავკისელები და შინდისელები).ამგვარადვე უბრნ-ის-ისაგან (სოფელია ქართლში) დღესაც უბრნ-ელ-ს ამბობენ.ხოლო არად-ეთ-ისა და დუშ-ეთ-ისაგან ადგილობრივ არად-ელ-ი და დუშ-ელ-ი ითქმის. კახ-ეთ-ისა და იმერ-ეთ-ისაგან საყოველთაოდ ცნობილია :კახ-ელ-ი, იმერ-ელ-ი.

მაგრამ ამჟამად მრავალ შემთხვევაში აღარ ხერხდება ის და ეთ სუფიქსების მოკვეცა და -ელ-ის დართვა; ძველად თუ ამბობდნენ: ტფილ-ელ-ი,ქუთათ-ელ-ი,მანგლ-ელ-ი, ბოლნ-ელ-ი, ტბ-ელ-ი და სხვ., ეხლა სამაგიეროდ ვამბობთ:თბილის-ელ-ი, მანგლის-ელ-ი,ბოლნის-ელ-ი,ტბეთ-ელ-ი და მისთ.

-ელ სუფიქსი ამჟამად მიმდევრობასაც აღნიშნავს :ლენინ-ელ-ი, სტახანოვ-ელ-ი, ფეხბურთ-ელ-ი.

-ურ სუფიქსი ელ სუფიქსის ბადალია; -ურ : ქართლ-ურ-ი, კახ-ურ-ი, იაპონ-ურ-ი, ინგლის-ურ-ი... მაგრამ, თუ ძირეულ სიტყვაში რ თანხმოვანი აღმოჩნდება. -ურ სუფიქსისეულის რ თანხმოვანი შეიცვლება ლ თანხმოვნით და სუფიქსი -ულ -ის სახეს მიიღებს : იმერ-ულ-ი, ამერ-იკ-ულ-ი (ამ მოვლენას განმსგავსება ანუ დისიმილაცია ეწოდება). რაც შეეხება სიტყვას ქართლ-ურ-ი, მასშიც არსებობამ შესაძლებელი გახადა -ურ სუფიქსის თავდაპირველი სახით შენარჩუნება.

-ურ სუფიქსიანი სახელები ძირითადად ზედსართავებია.

-ურ აღნიშნავს არაადამიანთა სადაურობას: ონ-ურ-ი, ქალაქ-ურ-ი, სოფლ-ურ-ი, მოსკ(ვ)-ურ-ი; გორ-ულ-ი, ამერიკ-ულ-ი და მისთ.

-ურ-ის დართვისას (ისე როგორც ელ-ის დართვისას) გეოგრაფიული სახელს,რომელსაც ბოლოში ეთ და ის აქვს , შეიძლება ეს ეთ და ის

ჩამოშორდეს ძველი წარმოების თანახმად :დუმ-ეთ-ი : დუმ-ურ-ი მსხალი ;კუმ-ის-ი : კუმ-ურ-ი ლედვი; უბრნ-ის-ი: უბრნ-ულ-ი ვაშლი და მისთ.

-ურ (ულ) ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ-ზოგ კილოში (კახურში,ფშაურში): „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუმოური ქალია,, (ვაჟა, <ბახტრიონი>.აფხუმო სოფელია ფშავში). ეს ურ საყოველთაოდ გატარებულია ზმნიზედებისაგან ნაწარმოებ სახელებში:სად-ურ-ი,აქა-ურ-ი,მანდა-ურ-ი,იქა-ურ-ი, რომლებიც ადამიანზედაც ითქმის და არა-ადამიანზედაც. მსგავსადვე გაურჩევლად ითქმის:გურ-ულ-ი (გური-ულ-ისაგან: „გურული ქალი,, „გურული სიმღერა), რადგანაც ადამიანთათვის წესებრივად ნაწარმოები „გური-ელ-ი,, მარტოოდენ გურიის ყოფილ მფლობელთა საგვარეულოს მიეკუთვნა. ასევე გაურჩეველია ქუთათ-ურ-ი-ც („ქუთათ-ელ-ი,, ქუთაისის მიტროპოლიტთა ტიტულად იქცა).

აღნიშნული ურ (ულ) სუფიქსი გვარების მაწარმოებლადაც არის გამოყენებული: ბექა-ურ-ი, ცაბა-ურ-ი, წიკლა-ურ-ი,გოგოლა-ურ-ი,გოგოჭ-ურ-ი,ლომა-ურ-ი, გომელა-ურ-ი და მისთ. ; ჭინჭარა-ულ-ი, თურმანა-ულ-ი,ქერა-ულ-ი და მისთ.

წარმომავლობის სუფიქსი ურ (ულ) გეოგრაფიულ სახელთაგან სადაურობას გვიჩვენებს, მაგრამ იგივე სუფიქსი სხვა სახელთაგან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით: კაც-ურ-ი,ქალ-ურ-ი,ბავშვ-ურ-ი,მგლ-ურ-ი,მხეც-ურ-ი და სხვ.; ვაჭრ-ულ-ი,მხატვრ-ულ-ი,დორ-ულ-ი და სხვ.

წარმომავლობის სახელს წარმოქმნის სხვა სუფიქსებიც, როგორცაა-იურ,-იულ,-დელ. მაგალითად : (დისიმილაციით -იულ) მზე- მზ-იურ-ი, წელ-ი - წლ-იურ-ი, ცა - ც-იურ-ი, წრე - წრ-იულ-ი ... (მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას , რომ, თუ სახელი ბრუნებისას კუმშვადია ან კვეცადია , ასევე

იკუმშება ან იკვეცება იგი ხმოვნით დაწყებული ნებისმიერი მაწარმოებელი სუფიქსის დართვის დროსაც : წელ-იურ-ი, მზე-იურ-ი, წრე-იულ-ი ... ამიტომ გვქონდა ამერიკა-ულ-იც, ასევე იქნება სხვა ანალოგიურ შემთხვევაშიც ;

-იურ სუფიქსში ორი მაწარმოებელია გაერთიანებული: ივ+ურ (აქედან:იურ.). პრიველი (ივ) მაწარმოებელია ძველი ბრუნვისა , მეორე კი იგივეა, რაც ზემოც განხილული ურ. შემონახულია რამდენსამე სიტყვაში :წლი-ურ-ი, ქვეყნ-იურ-ი, მზ-იურ-ი, ც-იურ-ი და მისთ. (ამათ ნაცვლად: *წლ-ივ-ურ-ი, *ქვეყნ-ივ-ურ-ი, *მზ-ივ-ურ-ი, *ც-ივ-ურ-ი).

ამ წარმოებაშია გაერთიანებული უცხო წარმოშობის ივ-ზე დართული ქართ. ურ (დისიმილაციით: ულ) , რაც ერთად იმავე შედეგს გვაძლევს(ივ-ურ-იურ): აქტ-იურ-ი (*აქტ-ივ-ურ-ი), პას-ი-ურ-ი (*პას-ივ-ურ-ი), პოზიტ-იურ-ი (*პოზიტ-ივ-ურ-ი), იმპერატ-იულ-ი (*ომპერატ-ივ-ულ-ი) და მისთ.

-ეულ: დედის-ეულ-ი, მამის-ეულ-ი, წინაპრის-ეულ-ი... ძირეული სახელი აღნიშნულ მაგალითებში ნათესაობით ბრუნვაში დგას. აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათ. ბრუნვის ფორმას ერთვის: პატარძლის-ეულ-ი, ერისთვის-ეულ-ი, ჩემ-ეულ-ი („მაგა ცხენსა ჩემეულსა“ („ვეფხისტყაოსანი“) , შენ-ეულ-ი, (მასვე ცხენსა შენეულსა („ვეფხისტყაოსანი“).

-ეულ-ი იფართოებს მოქმედების არეს და აღნიშნავს გვარსაც, რომელიც სხვადასხვა სახეობის საგნებს აერთიანებს: ხილ-ეულ-ი, თევზ-ეულ-ი, ბოსტნ-ეულ-ი, პურ-ეულ-ი, შალ-ეულ-ი, ბეწვ-ეულ-ი, ვერცხლ-ეულ-ი (ვერცხლის ნივთები), ოქრო-ულ-ი (*ოქრო-ეულ-ი), ტკბილ-ეული და სხვ.. მაგ., ხილეულია:ვაშლი, მსხალი, ატამი, ყურძენი და სხვ.; თევზეულია: ორაგული, ზუთხი, ლოქო, ხრამული, გელაქნური, ფიჩხული და სხვ.

ამჟამად ჩვეულებრივია, რომ გვარის აღნიშვნელ სახელს კიდევ კოლექტიობის გამომხატველი **-ობა** დაერთოს: **თევზ-ეულ-ობა, ვერცხლ-ეულ-ობა, ტკბილ-ეულ-ობა** და სხვ.

-ეულ სუფიქსით არის ნაწარმოები რიგი სახელებისა: **ერთ-ეულ-ი, ათ-ეულ-ი, ას-ეულ-ი, ათას-ეულ-ი, გუთნ-ეულ-ი, (გუთანში შებმული ხარები და ყველაფერი, რაც ახლავს), აგრეთვე: ღირს-ეულ-ი, შორ-ეულ-ი** და სხვ.

-დელ: წარმოშობით ეს სუფიქსი რთულია: **დ-ელ**, რომლის პირველი ნაწილი მიღებულია **დღ-ისაგან (დღ-ელ-ი)**. იხმარება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: **გუშინ-დელ-ი, შარშან-დელ-ი, წელან-დელ-ი, უწინ-დელ-ი**. ამ სიტყვების ანალოგიით **ნ** ჩნდება სხვა ფუძეებთანაც და მიღებულია **ნ-დელ-ი: ხვალ-ი-ნ-დელ-ი, დღე-ი-ნ-დელ-ი (ითქმის დღე-ვ-ა-ნ-დელ-იც)**.

წარმომავლობის **-ურ // -ულ, -არ // -ალ, -იან, -ეულ** სუფიქსები სალიტერატურო ქართულსა და მეგრულ-ლაზურში საერთოა (შონია, 2006).

2.5.5. აბსტრაქტული სახელები

აბსტრაქტულ სახელებს ქართულში აწარმოებენ **სი---ე, -ობა, -ება** აფიქსები. იშვიათად გვაქვს **სი-ო**. „აბსტრაქტულ სახელთა წარმოქმნის მხრივ საგრძნობი სხაობა შეიმჩნევა ძველსა და ახალ ქართულს შორის; ა) ახალ ქართულში **-ობა** სუფიქსის ნაცვლად **-ება** იხმარება; ბ) ძველ ქართულში პრეფიქსულ სუფიქსური წარმოება ახალში ხშირად შეცვლილია ოდენპრეფიქსული წარმოებით -- **სიმხნ(ე) - მხნე-ობა** (მარტიროსოვი, 1958, 125).

სი---ე ჩვეულებრივ აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს ზედსართავი სახელებისაგან; შავი -- სიშავე, წითელი -- სიწითლე...

-ობა: თავი -- თაობა (< თავ-ობა), ამხანაგი -- ამხანაგობა...

ა) **ობა** : განყენებულ ცნებათა სახელებს აწარმოებს არსებით სახელთაგან და მოქმედებითი გვარის მიმღეობათაგან: **ძმ-ობა, მეგობრ-ობა, მეზობლ-ობა, მტრ-ობა, ვაჟკაც-ობა, მონ-ობა, ბავშვ-ობა** და სხვ. **მშენებლ-ობა, დამაჯერებელ-ობა** და სხვ.

„ობა,, სუფიქსით ნაწარმოებმა სახელმა შეიძლება კონკრეტული მნიშვნელობაც მოიპოვოს: ამ შემთხვევაში ის იქნება კრებითი (კოლექტიური) სახელი: მაგ., „სტუდენტობას,, ორგვარი მნიშვნელობა აქვს: აბსტრაქტული („ამ ვაჟს სტუდენტობა ძალიან მოუხდა,,) და კონკრეტული („დღეს სტუდენტობა უნივერსიტეტის ეზოში შეგროვდა,,). მსგავსი მაგალითებია: ქართველობა, მეზობლობა.

-ობათია ნაწარმოები ზმნიზედური გამოთქმები წონა-ზომისა და სხვა სახელთაგან : **გირვანქობით, ფუთობით, მეტრობით, ასობით, ათასობით, პროცენტობით, თვეობით, წლობით** და მისთ... „დღეს გირვანქობით აღარავინ ყიდის რამეს“.

დამოუკიდებლად **-ობ** სუფიქსი რამდენსამე სიტყვაში იხმარება; ესენია: **მალ-ობ-ი, (მ)დაბლ-ობ-ი, ფერდ-ობ-ი, გვერდ-ობ-ი, ბექ-ობ-ი**. ამავე წესით ახლად გაკეთებულია: **ფართ-ობ-ი**.

-ობა სუფიქსი აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს; ა) მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობებისაგან; დამჯერებ-ობა, მჭრელ-ობა; ბ) არსებითი სახელებისაგან; ჭაბუკობა, ოფიცრ-ობა; გ) რიცხვითი სახელისაგან; **მე-ობა, რა-ობა; დ) ნაწილაკისაგან; არა-ობა; ვ) უცხო წარმოების სახელებისაგან; პოპულარ-ობა, აქტივობა** (ტუსკია, 2004, 80).

-ება (ებ-ა). ობა- საგან განსხვავებით **ება** განყენებულ სახელებს **-იერ-** ზე გათავებულ ზედსართავთაგან აწარმოებს: **ბედნიერ-ება, გონიერ-ება, ზომიერ-ება, კადნიერ-ება, ლმობიერ-ება** და სხვ... ზმნური წარმოშობისაა, მაგრამ დღეს სახელია : **ცხოვრ-ება; ზმნური ფორმა აქვს**

ფუძედ არს-ება-ს. ზმნის ფორმა ზედსართავად არის გამოყენებული და ამისაგან შემდეგ აბსტრაქტული სახელია ნაწარმოები: **ღირს > ღირს-ი > ღირს-ება**.

ვნებითი გვარის მიმღობა საზოგადოდ **-ობა**-ს მიიღებს (ჭრილობა, გატეხილ-ობა, დაწერილ-ობა, დადმულ-ობა, დაძაბულ-ობა, ზრდილ-ობა და სხვ.), მაგრამ ძველი ქართულიდან მომდინარე ფორმებში **ება** -ც გვხვდება: განკარგულება, განხეთქილ-ება, ხელ-შეკრულ-ება, გამოსახულ-ება, შთაბეჭდილ-ება და სხვ.

სი-ე. ეს მაწარმოებელი იგივეა რაც **ობა** . მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ **ობა** სახელებს აწარმოებს ისეთ სახელთა ფუძეებისაგან, რომლებიც საგანს აღნიშნავენ, ხოლო **სი-ე** აწარმოებს ისეთებისაგან, რომლებიც საგანთა თვისებას ან ნიშანს გამომხატავენ. ითქმის **კაც-ობა** (და არა:სიკაცე), რადგანაც „კაცი,, საგანია: სამაგიეროდ ითქმის **სი-თეთრ-ე** (და არა:თეთრობა), რადგანაც „თეთრი,, საგნის ნიშანია. სხვანაირად რომ ვთქვათ, **ობა** აწარმოებს ახალ სახელებს არსებითთაგან (ხელ-ობა), **სი-ე** კი- ზედსართავთაგან: **სი-წითლ-ე**, **სი-ლურჯ-ე**, **სი-მალლ-ე**, **სი-ძნელ-ე** და მისთ.

-ელ-ზე და **-ილ-ზე** გათავებულ რამდენსამე ზედსართავს, აბსტრაქტულ სახელთა წარმოებისას, ჩამოეკვეცება ძველი სუფიქსები **ელ** და **ილ** : **გრძ-ელ-ი > სი-გრძ-ე**, **სქ-ელ-ი > სი-სქ-ე**, **ცხ-ელ-ი > სი-ცხ-ე**, **ფიცხ-ელ-ი > სი-ფიცხ-ე**, **ბრტყ-ელ-ი > სი-ბრტყ-ე**, **ვრც-ელ-ი > სი-ვრც-ე**, **კეთ-ილ-ი > სი-კეთ-ე**. ასეთივეა აგრეთვე „თხ-ელ-ის,, პირვანდელი ფორმისაგან ნაწარმოები **სი-თხ-ე**, რომელსაც კონკრეტული მნიშვნელობა აქვს მიღებული.

რამდენსამე სიტყვაში **სი-ე** -ს ნაცვლად გვაქვს **სი-ო** : **თხ-ილ-ი:სი-თხ-ო**, **მსხვ-ილ-ი :სი-(მ)სხ-ო**, (***სი-მსხვ-ო**), **ტკბ-ილ-ი: სი-ტკბ-ო**, **ლბილი:სი-ლბ-ო** („სილბო ჰქონდა ქსოვილისა და სიმტკიცე ნაჭედისა,, ვეფხტყაოსანი“).

აბსტრაქტულ სახელთა უძველეს საწარმოებელ აფიქსად პრეფიქსსუფიქსია მიჩნეული. ოდენსუფიქსიანი წარმოება უფრო გვიანდელია.

-ობა სუფიქსი დასტურდება მეგრულშიც: კოჩობა „კაცობა“... აღნიშნული სუფიქსი მეგრულში საკულტო ტერმინთა საწარმოებლადაც გამოიყენება: ბარბარობა „წმიდა ბარბარეს ხსენების დღე“, აიობა „რელიგიური დღესასწაული“ (შდრ. სალიტერატურო ქართული - ბზობა (რელიგიური დღესასწაული), მიქამგარიობა „წმიდა მიქაელისა და გაბრიელის ხსენების დღე“ (შონია, 2005, 104, 106).

2.5.6. დანიშნულების სახელები

დანიშნულების ან განკუთვნილების გამომხატველი სიტყვები ძირითადად სა- პრეფიქსით არის წარმოდგენილი. ამ პრეფიქსთან ერთად მათ, ჩვეულებრივ, სუფიქსიც ახლავს : -ო, -ე, -ურ ... ეს სიტყვები ხშირად ვითარებითი ადიექტივის როლში გამოდის და სინტაქსურ წყვილში მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს. ასეთი მსაზღვრელი გვიჩვენებს, თუ ნივთი ვისთვის ან რისთვისა განკუთვნილი, რა დანიშნულებისაა : სათაური, საყურე, საბავშვო... დანიშნულების გამოხატვა სა - თავსართთან არის დაკავშირებული უპირატესად, ხოლო სუფიქსის მონაცვლეობა დანიშნულების გამოხატვაზე გავლენას არ ახდენს : საგანძე/საგანძური.ზოგჯერ სა-ე და სა-ო კონფიქსები ერთსა და იმავე ფუძესთან განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვებს ქმნიან. მაგ., სააბრეშუმო - საგანგებოდ მოწყობილი ადგილი, სადაც აბრეშუმის ქია ჰყავთ, და სააბრეშუმე - აბრეშუმის ძაფის ან ქსოვილისათვის განკუთვნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ სა-ო და სა-ე აფიქსებით წარმოქმნილ სახელთა ერთ წყებას ჩამოშორებია თავდაპირველად მასთან მდგომი საზღვრული წევრი და სუბსტანციის ფუნქცია აქვთ შეძენილი : სასტუმრო დარბაზი ,სასადილო

ოთახი... ამჟამად ასეთ სიტყვებს დაკარგული აქვს ადიექტივის გაგება და სუბსტანტივის მნიშვნელობით იხმარება: სასტუმრო, სასადილო...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ ჯგუფის სახელთა წარმოებისას პრეფიქსი ყველგან ერთია, განსხვავებას ქმნის სუფიქსი.

ა) სა - ე: სა-ქათ-მე, სა-ღორ-ე, სა-ყურ-ე, სა-ფულ-ე... საანალიზო აფიქსი გამოხატავს დანიშნულებას, განკუთვნებას: სა-ქათმ-ე, სა-ღორ-ე, სა-ცხვრ-ე, სა-ყურ-ე, სა-თვალ-ე, სა-ფულ-ე, სა-ძუ-ე, სა-ყი-ნულ-ე, სა-კარ-ე და სხვა. მრავალ სახელს ამ შემთხვევაში ზედსართაობა დაკარგული აქვს საზღვრულის ჩავარდნის გამო და არსებითად ქცეულან (საღორე-ღორისთვის განკუთვნილი ადგილი; საყურე - ყურისთვის დანიშნული სამკაული და მისთ). ზედსართაული გაგებაც შეიძლება შენახულ იქნეს: სა-ურმ-ე (გზა), სა-ქალმ-ე (ტყავი), სა-ველ-ე (სამუშაო), სა-ჩოხ-ე (შალი), სა-პერანგ-ე (მასალა) და სხვ.

ბ) სა-ო: სა-ოჯახ-ო, სა-სკოლ-ო, სა-ყელ-ო, სა-სტუმრ-ო... სა-ო იგივეა მნიშვნელობით, რაც სა-ე, ოღონდ ამას მეტი სასიცოცხლო ძალა აქვს: ახალ-ახალი სიტყვებისაგან ეს აწარმოებს სახელებს, რომლებიც უმეტესად ზედსართავებია : სა-ექიმ-ო, სა-ჯარ-ო, სა-ქვეყნ-ო, სა-პატარძლ-ო, სა-უნივერსიტეტ-ო და სხვ, ბევრ ასეთ სახელს არსებითი მნიშვნელობა აქვს მოპოვებული: სა-სადილ-ო, სა-მზარეულ-ო, სა-სამართლ-ო, სა-ხელოსნ-ო და სხვ.

გ) სა-ურ, რაიან ფუძეებთან დისიმილაციით - სა-ულ: სა-ხელ-ურ-ი, სა-განძ-ურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი, სა-ბარგ-ულ-ი... დადასტურებულია რამდენსამე ძველი წარმოების სახელში: ესენია: სა-თა(ვ)-ურ-ი, სა-თით-ურ-ი, სა-ფეხ-ურ-ი, სა-მკერდ-ულ-ი, სა-ბეჭ-ურ-ი, სა-განძ-ურ-ი, სა-ცეცხლ-ურ-ი და სხვ.

აღნიშნული მაწარმოებლებით არსებითი სახელების წარმოქმნაც ხდება. მაგალითად: სასიმიინდე (რა?), საფეხური (რა?), საბარგული (რა?)...

და ზედსართავებისაც - სასტუმრო (როგორი?) ოთახი, სამგზავრო (როგორი?) მატარებელი და ა. შ.

2.5.7. ხელობის ანუ პროფესიის სახელები

ხელობის ანუ პროფესიის გამოსახატავად გვაქვს ორი წყვილი აფიქსი: მე-ე და მე-ურ // -ულ.

ა) მე-ე: მე-თევზ-ე, მე-ურმ-ე, მე-ფანდურ-ე, მე-დუქნ-ე, მე-ბად-ე, მე-მწვანელ-ე, მე-ქოთნ-ე, მე-ლორ-ე, მე-ჩექმ-ე, მე-ნავ-ე, მე-ტივ-ე, მე-ეტლ-ე, მე-ისრ-ე, მე-კარ-ე, მე-ნახშირ-ე, მე-საათ-ე, მე-ველ-ე, მე-ტყევე-ე და სხვ.

ბ) მე - ურ, რაე-ნარევ ფუძეებთან - მე -- ულ: ეს მაწარმოებელი მხოლოდ რამდენსამე სახელში გვხვდება: მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მე-ბარგულ-ი... ამგვარადვეა ნაწარმოები: მე-სვე-ურ-ი (სვე ჰქვია ერთჯერად გატანილ სამუშაოს მკაში, თიბაში, თოხნაში), მე-თა(ვ)-ურ-ი და სხვ.

აღნიშნული ნაწარმოები სახელები უმთავრესად არსებითებია.

2.5.8. წინა ვითარების სახელები

ქართულ ენას საშუალება აქვს, საგანი დაასახელოს იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენდა ის წინათ ან როგორი ვითარება ახასიათებს მას წინანდელთან შედარებით. საამისოდ მას მოეპოვება წყვილ-წყვილი მაწარმოებლები: ნა-არ და ნა-ევ, რომლებიც ერთია ფუნქციით, მაგრამ ერთ ფუძესთან შეიძლება ერთი წარმოება იყოს დამკვიდრებული, მეორესთან კი-მეორე: ქმარ სიტყვისაგან ნა-ქმარ-ევ-ი ითქმის და არა - ნა-ქმარ-ალ-ი, მაგრამ ცოლი > ნა-ცოლ-არ-ი; ხმალი > ნა-ხმლ-ევ-ი, მაგრამ ტყვია > ნა-ტყვი-არ-ი.

ზოგჯერ ერთი და იგივე ფუძე თანაბრად იგუებს ორივე სახის წარმოებას, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ სუფიქსით განსხვავდებიან.

ნა-არ, რაე-ნარევ ფუძეებთან დისიმილაციით - **ნა-ალ** : ნა-მასწავლებლ-არ-ი, ნა-ცოლ-არ-ი, ნა-ხუც-არ-ი, ნა-შეგვირდ-ალ-ი და სხვ. ნა-ქალაქ-არ-ი, ნა-სახლ-არ-ი, ნა-ფეტვ-არ-ი, ნა-საკირ-ალ-ი (ადგილია გურიაში), ნა-ტერფ-ალ-ი (სადაც ტერფი დგმულა), ნა-ტყვი-არ-ი, (სადაც ტყვია მოხვედრილა), ნა-საყდრ-ალ-ი, ნა-პურ-ალ-ი, ნა-ქერ-ალ-ი (ნაქერალა მთაა კახეთ-თუშეთის გზაზე და რაჭა-იმერეთის ქედზე), ნა-რიონ-ალ-ი (ძველი კალაპოტია რიონისა სადგ. საჯავახოსა და ნიგოთს შუა) და მისთ.; ნა-ციმბირ-ალ-ი (ციმბირს ნაყოფი).

ნა-ევ: ნა-ყმ-ევ-ი, ნა-რძლ-ევ-ი, ნა-მამამთილ-ევ-ი; ნა-დარბაზ-ევ-ი, ნა-ბაკ-ევ-ი, ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-მარნ-ევ-ი, (ნამა(რ)ნ-ევ-ი სოფელია ლეჩხუმში), ნა-ქულბაქ-ევ-ი (სოფელი იყო; ქულბაქი- დუქანი) და სხვა. ამგვარადვეა ნაწარმოები, მაგრამ პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვთ და ახალი აქვთ მიღებული ამათ : ნა-ბარათ-ევ-ი (ბარათის ნაგლეჯი), ნა-მთ-ევ-ი (მთაზე ნაყოფი).

ნა-ევ აფიქსებით ნაწარმოები დროის აღმნიშვნელი სიტყვები უმთავრესად ზმნიზედურად არის გამოყენებული: ნა-შუადამ-ევ-ს, ნა-სადილ-ევ-ს, ნა-ვახშმ-ევ-ს, ნა-ახალწლ-ევ-ს და მისთ.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ერთისა და იმავე სახელის ფუძისაგან **ნა-არ-ითაც** შეგვიძლია წარმოვიქნათ ახალი სახელი და **ნა-ევ-ითაც**: ნა-ვენახ-არ-ი და ნა-ვენახ-ევ-ი, ნა-ქალაქ-არ-ი და ნა-ქალაქ-ევ-ი, ნა-გომ-არ-ი და ნა-გომ-ევ-ი (სოფლის სახელებია: ერთი გურიაში, მეორე - ქართლში), ნა-მონასტრ-ალ-ი და ნა-მონასტრ-ევ-ი, ნა-ზამთრ-ალ-ი და ნა-ზამთრ-ევ-ი, ნა-ბოსლ-არ-ი და ნა-ბოსლ-ევ-ი და სხვ.

ნამყოფობის, წინა ვითარების ჩვენება ქართული სიტყვაწარმოქმნის ერთ-ერთ სპეციფიკურ თავისებურებადაა ჩათვლილი, რასაც ყურადღება პირველად აკაკი შანიძემ მიაქცია (შანიძე, 1956).

2.5.9. მცენარეთა კრებულის სახელები

ქართულში მოიპოვება სუფიქსი **ნარ > ნალ**, რომელიც დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე: ნაძვ-ნარ-ი, ფიჭვ-ნარ-ი, წაბ(ლ)-ნარ-ი, წიფ(ლ)-ნარ-ი, იფნ-(ნ)არ-ი, კოპიტ-ნარ-ი (კოპიტი -- იფანი), ვერხვ-ნალ-ი, მურყნ-(ნ)ალ-ი (მურყანი -- თხმელა), არყ-ნალ-ი და სხვ.. ამგვარადვეა ნაწარმოები; ბუჩქნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, ხეხილ-ნარ-ი. ამ ტიპის სახელებს კრებით სახელებს ეძახიან, რადგანაც მიღებული სიტყვა აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს.

ორიოდე შემთხვევაში ასეთი წარმოება შეიძლება ისეთი სახელებისაგან, როგორცაა; თიხა, ქვიშა, კირი (თიხნარი, ქვიშნარი, კირნალი).

2.5.10. გეოგრაფიული სახელები

გეოგრაფიული სახელები ქართულში სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა წარმოშობისაა. ყველა მათი გათვალისწინება შეუძლებელია.

საზოგადოდ, გეოგრაფიულ სახელებში შეიძლება ყოველგვარი მაწარმოებელი იქნეს გამოყენებული. ზედმიწევნილობა რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელსამე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად.

საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად მოიპოვება სუფიქსი **-ეთ**, რომლის ვარიანტია **ით**. ეს **ეთ** შეიძლება გაძლიერებულ იქნეს

დანიშნულების პრეფიქსით (სა -- ეთ); ენათმეცნიერები შენიშნავენ ასევე -
ოვან მაწარმოებელსაც (გვანცელაძე, 2016, 14-15). სა-ეთ, სა-ო, -ეთ, -ურ, -ნ, -
ებ მაწარმოებლებს გამოყოფს გურამ ბედოშვილი (ბედოშვილი, 2007, 23).

-ეთ. ეს სუფიქსი ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახეა
გეოგრაფიულ სახელთა საკუთარი მაწარმოებლისა. ის უშუალოდ
დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს: ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, ბი-
ეთ-ი, ნიგოზ-ეთ-ი, თელ-ეთ-ი, კლდე-ეთ-ი და მისთ; კვალ-ით-ი ძიმ-ით-ი
და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები,
რომლებსაც იმავე ეთ-ის საშუალებით გეოგრ. სახელები კეთდება:
ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, სომხეთ-ი,
რუს-ეთ-ი, სპარს-ეთ-ი, არაბ-ეთ-ი და სხვ.

ამავე სუფიქსს ვხედავთ ქვეყნის მხარეთა სახელებში: აღმოსავლ-ეთ-
ი, დასავლ-ეთ-ი, ჩრდილო-ეთ-ი, სამხრ-ეთ-ი.

სა -- ეთ: გვხვდება სახელებში : სა-სირ-ეთ-ი (სირი -- ჩიტი), სა-ქაშ-ეთ-
ი, (სასირეთი და საქაშეთი სოფლებია ქართლში), სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-თათრ-
ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი.

ამგვარადვეა გაკეთებული სა-რკინ-ეთ-ი ("იმერელმა რკინა მო?ელა
და: ღმერთო, სარკინეთი ამოგდეო,, , ანდაზა, გაგონილი მთიულებს შორის)
და სა-მგლ-ეთ-ი ("თხამ მგლის სიკვდილი გაიგო, დაიკვირნა, გაიქცა. --
თხაო, რას გაგხარებია? განა სამგლეთი დაიქცა,,? ხალხური).

როგორც ყოველგვარ სიტყვას, გეოგრაფიულ სახელსაც შეუძლია
ცვლილება განიცადოს დროთა განმავლობაში და ზოგჯერ მეტად
დაშორდეს პირვანდელ სახეს : ამის მაგალითებია: თბილისი (ძველად:
ტფილისი), ქუთაისი, (ძველად :ქუთაისი), ცხინვალი (ძველად:

კრცხილოვანი, ქრცხინვალი), ჟინვალი (ძველად: ჟინოვანი), ერთაწმინდა (ძველად: ევსტათე წმინდა) და სხვ.

-ოვან სუფიქსიანი ოიკონიმებსა და ამ მოდელისაგან მომდინარე ზოგი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიაზე საინტერესოდ მსჯელობს გ. გვანცელაძე:

„საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია მრავალი გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ოიკონიმი, რომლებიც ნაწარმოებია საყრდენ ფუძეზე მქონებლობის აღმნიშვნელი **ოვან** სუფიქსის დართვით. ამ ტოპონიმიკურ მოდელს განეკუთვნება ისეთი სოფლის სახელები. როგორებიცაა; **ბალ-ოვან-ი** (გორის მუნიც.) **ბაყილ-ოვან-ი** (ახმეტის მუნიც.), **გორ-ოვან-ი** (მცხეთის მუნიც.), **ვაშლ-ოვან-ი** (ახალგორის, ბორჯომის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, ხულოს მუნიც.), **ზედა ჭალ-ოვან-ი** და **ქვედა ჭალოვან-ი** (ჭიათურის მუნიც.), **თელ-ოვან-ი** (თბილისის შემოგარენში), **თხილ-ოვან-ი** (დუშეთის მუნიც.), **კეხ-ოვან-ი** (ადიგენის მუნიც.), **ლამ-ოვან-ი** (დუშეთის მუნიც.), **ლელ-ოვან-ი** (ადიგენისა და თიანეთის მუნიც.), **სხლ-ოვან-ი** (თიანეთის მუნიც.), **ტყემლ-ოვან-ი** (ქარელის მუნიც.), **ფიჩხ-ოვან-ი** (სხმეტის მუნიც.), **ღოლ-ოვან-ი** (თეთრიწყაროს მუნიც.), **ძირ-ოვან-ი** (ტყიბულის მუნიც.), **წერ-ოვან-ი** (მცხეთის მუნიც.), **ჭალ-ოვან-ი** (საჩხერის მუნიც.).

ამ გეოგრაფიულ სახელებში კუმშვადი საყრდენი ფუძე შეკუმშულია, ხოლო კვეცადი - შეკვეცილი, რაც ხმოვნით დაწყებული სუფიქსის ზემოქმედების შედეგია. გამონაკლისია მხოლოდ **ბალოვანი**, სადაც ფუძე არ არის შეკუმშული (შდრ.:**ბალ-ი** - **ბლ-ის**, **ბლ-ით**, **ბლ-ად**, **ბლ-ებ-ი...**). აღსანიშნავია ისიც. რომ დასახელებული ოიკონიმები აშკარად ძველი ტოპონიმია.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ამ გეოგრაფიულ სახელთა საყრდენი ფუძეები გამოხატავენ კონკრეტულ ადგილას გარკვეულ საგანთა თავყრილობას; მცენარეებისა (ბალი, ბაყილო//ბაყლა, თელა, თხილი, ლელი, მსხალი, ტყემალი, ღოღო, ძირა), ჭალებისა, გორებისა, კეხისებრი სიმაღლეებისა, ლამისა, ფიჩხისა, წეროებისა.

ასევე ხშირია ისეთი ოიკონიმებიც, რომლებიც ან მეორეული აფიქსაციით, ანდა ფონეტიკურ პროცესთა ზემოქმედებით, ან კიდევ ორივე მიზეზით არიან წარმოქმნილნი დასახელებული ტიპას გეოგრაფიული სახელებისაგან;

1. მეორეული აფიქსაცია; თხილვან-ა (ხულოს მუნიც.) < "თხილ-ოვან-ა < თხილ-ოვან-ი; ტყემლ-ოვან-ა (ჭითურის მუნიც.), შდრ. ტყემლ-ოვან-ი (ქარელის მუნიც.); წაბლ-ოვან-ა (ხაშურის მუნიც.) < წაბლ-ოვან-ი; წიფლ-ოვან-ა (ქარელის მუნიც.), შდრ. წიფლ-ოვან-ი;

2. ფონეტიკური პროცესები; ვერხვანი (ვანის მუნიც.) < ვერხვ-ოვან-ი ზედა ბზ-ვან-ი, ქვედა ბზ-ვან-ი (ვანის მუნიც.) < "ბზ-ოვან-ი; ცხინვალი < ქრცხინ-ვალ-ი < ქრცხილ-ვან-ი < ქრცხილ-ოვან-ი; ლელვან-ი (ხარაგაულის მუნიც.) < *ბზ-ოვან-ი; ცხინვალი < ქრცხინ-ვალ-ი < ქრცხილ-ვან-ი < ქრცხილ-ოვან-ი; ლელ-ვან-ი (ხარაგაულის მუნიც.) < *ლელვ-ოვან-ი; ტყელვანი (ვანის მუნიც.), შდრ. ტყემლ-ოვან-ი (ქარელის მუნიც.); ქვემო ცხილონ-ი (ახალგორის მუნიც.), შდრ. რცხილ-ოვან-ი;

3. კომპლექსური წარმოება; ზემო ქლივანი (ცხინვალის მუნიც.) < "ქლიავ-ოვან-ა; თხინა (ოჩამჩირის მუნიც.), შდრ. თხინალა (გორის მუნიც.) // პატარა თხინალა (ხაშურის მუნიც.), აგრეთვე თხინვალა (ხულოს მუნიც.) და თხინ-ვალ-ი (სოფლები თბილისის შემოგარენში, თეთრიწყაროსა და ოზურგეთის მუნიც.) < თხილ-ოვან-ი; ნამახვანი // ნამოხვანი < *ნა-მახ-ოვან-

ი (წყალტუბოს მუნიცი.), შდრ. მახა „ ხორბლის ენდემური ჯიში“ (გვანცელაძე, 2016, გვ. 14-15).

„ქართული სა---ო კონფიქსიანი ოიკონიმების ზოგი საწარმოქმნო თავისებურების შესახებ“ მსჯელობს გურამ ბედოშვილი. მისი აზრით, ა) თუ ოიკონიმი -**შვილ-** სართიანი გვარისაგან არის გაფორმებული, მასში ეს გვაროვნული სართი ჩავარდნილია:

გურამიშვილი - სა-გურამ-ო

კონიაშვილი - სა-კობიან-ო

შაბურიშვილი - სა-შაბურ-ო (სა-გურამიშვილ-ო, სა-კობიაშვილ-ო, სა-შაბურიშვილ-ო)

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გვარი პირის სადაურობა წარმომავლობის -**ელ-** სუფიქსით არის წარმოქმნილი, მაშინ ოიკონიმში (ასევე კუთხის, ხეობის საკუთარ სახელში) მხოლოდ თანხმოვანი (ლ) შემოგვრჩება:

კორინთ-ელ-ი -- სა-კორინთ-ლ-ო

მაჩაბ-ელ-ი --- სა-მაჩაბ-ლ-ო (და არა საკორინთელო, სამაჩაბელო...)

გ) წარმოების ამ წესს მიჰყვება -**ძე** სართიანი გვარებისაგან წარმოქმნილი დასავლური ოიკონიმებიც:

იმადაძე - სა-იმედ -ო; ჯავახაძე II ჯავახიძე -- სა-ჯავახ-ო (და არ საიმედაძეო, საჯავახაძეო საჯავახიძეო) .

დ) ოიკონიმთა წარმოების ეს თავისებურება შეინიშნება დასავლურქართულ (ზანური) **სა- -- -ო** კონფიქსის შემცველ ერთეულებშიც, რამდენადაც აქაურ ოიკონიმიაში **სა- -- -ო** საწარმოქმნო მოდელი თავისი

ბუნებით ახალია და აღმოსავლურქართულიდან არის შესული. იგი ადგილობრივი ლე- -- -ე კონფიქსის გვერდით თანაფუნქციონირებს:

ბულისკერია II ბულისკირია - სა-ბულისკერი-ო II სა-ბულისკირი-ო ; გვარამიწა - სა-გვარამი-ო; კილასონია - სა-კილასონი-ო; მესხია - სა- მესხი-ო; ნაჭყებია - სა-ნაჭყები-ო; ტყებუჩავა - სა-ტყებუჩავ-ო; წულეისკირი - სა-წულეისკირი-ო...

როგორც ვხედავთ, სა- -- -ო კონფიქსის დართვა მეგრულ -ია,-ვა ფინალიდან გვარებში მხოლოდ ა ხმოვნის კვეცას იწვევს, ფუძე უცვლელად რჩება: სა- მესხი- ო, სა-გვარამი-ო, სა-ტყებუჩავ-ო... : სა- მესხი- ო, სა-გვარამია-ო ფორმათა ნაცვლად (ბედოშვილი, 2007, გვ. 23-24)

2.5.11. უცხო აფიქსიანი სახელები

ქართულში მოიპოვება უცხო წარმოშობის აფიქსები, რომელთაც რამდენადმე მაწარმოებლის ძალა აქვთ ქართულშიც. სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული უცხო აფიქსებია: **-დან, -ხანა, -დარ, -ისტ, -იზმ, ანტი-**.

-დან: ჩაი-დან-ი, ყავა-დან-ი,. მისი ქართული ეკვივალენტებია სა-ე და სა-ო მაწარმოებლები (ეკვივალენტი ლათინური სიტყვაა და ქართულად „ტოლფასს,, „თანაბარი ღირებულების მქონეს,, ნიშნავს).

-ხანა : ჩაი-ხანა,ყავა-ხანა,ლუდ-ხანა (ხანა სპარსულად „სახლს,, ნიშნავს).

-დარ : დახლ-ი-დარ-ი, ხაზინა-დარ-ი, იჯარა-დარ-ი. (დარ სპარსულად „მქონებელს,, ნიშნავს). მისი ქართული შესატყვისია მე-ე : მე-დახლ-ე (ვისაც დახლი აბარია), მე-ხაზინ-ე,მე-იჯარ-ე (იჯარით რისამე ამღები).

წარმოდგენილ აფიქსთაგან სპარსულიდანაა შეთვისებული **-დან** სუფიქსი (ჩაი-დან-ი, ყავა-დან-ი), აგრეთვე **-ხანა** (აგურ-ხანა, ქარ-ხანა), **-დარ** (დახლი-დარ-ი, ხაზინა-დარ-ი). დასახელებული აღმოსავლური წარმოშობის აფიქსები არა პროდუქტიული აფიქსებია (მიქიაშვილი, 1996, 50).

-იზმ - ბერძნულია წარმოშობით, აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, რომელთაგანაც ზოგი აღნიშნავს რომელსამე პირთან დაკავშირებულ მოძღვრებას. ზოგ შემთხვევაში **-იზმ**-ი ქართ. **-ობა**-ს უდრის; დარვინ-იზმ-ი, მარქსიზმ-ი, ლიბერალ-იზმ-ი (ლიბერალური დამოკიდებულება, ლიბერალობა) და სხვ.

-ისტ ბერძნულია წარმოშობით, აღნიშნავს რომელიმე მოძღვრების მიმდევარს; დარვინ-ისტ-ი, მარქს-ისტ-ი და სხვ.

ასევე **ისტ** გვხვდება ახალ-შემოსულ სიტყვებში და უდრის ქართ. **მე - ე-ს**; ტრაქტორ-ისტ-ი (მეტრაქტორე), ტანკ-ისტ-ი.

ბერძნული წარმოშობისაა აგრეთვე **ანტი**, რომელიც თავსართად მოუდის სიტყვას და წინააღმდეგოს აღნიშნავს: ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული, ანტიკოლონიური და ა.შ.

2.6. რიცხვით სახელთა წარმოება

2.6.1. რიგობითი და წილობითი სახელები

წარმოქმნილ სახელებს განეკუთვნება **რიგობითის** (მაწარმოებელი კონფიქსი მე-ე: მე-ხუთ-ე, ოცდა-მე-ხუთ-ე ...), **წილობითისა** (მაწარმოებელი რიგობითის ფუძეზე დართული ვითარებითი ბრუნვის ნიშანი - მე - ე+დ: მე-ხუთ-ე-დ-ი, ოცდა-მე-ხუთ-ე-დ-ი...).

რიგის აღსანიშნავად რაოდენობით რიცხვით სახელთა ფუძეს

დაერთვის პრეფიქს სუფიქსი მე ე, რომელიც იგივეა, რაც ხელობის სახელთა მსგავსივე მაწარმოებელი (?126): მე-ორ-ე, მე-სამ-ე, მე-ოთხ-ე, მე-ხუთ-ე... მე-ათ-ე, მე-თერთმეტ-ე, მე-თორმეტ-ე... მე-ას-ე, მე-ათას-ე და სხვ... "და,, თი შეერთებულ რიცხვით სახელთაგან ამ მაწარმოებელს უკანასკნელი მიიღებს (ერთეული, ათი და ათმეტეული): ოცდა-მე-ორ-ე, ოცდა-მე-სა-მე... ოცდა-მე-ათ-ე, ორმოცდა-მე-თორმეტ-ე, სამოცდა-მე-ცამეტ-ე, ოთხმოცდა-მე-ოთხმეტ-ე და სხვ.

არ ითქმის მე-ერთ-ე, არამედ პირ-ველ-ი, მაგრამ რთული შედგენილობის რიცხვებში შეიძლება ერთიც ითქვას და მეორეც: ოცდა-მე-ერთ-ე-ც და ოცდა-პირველ-ი-ც.

წილობით სახელთა წარმოებისათვის ვითარებითი ბრუნვის ნიშანია გამოყენებული -- რიგობითის ვითარებითი ფუძეა წილობითისა: მე-ოთხ-ე - მეოთხე-დ-ი, მე-ხუთ-ე -- მეხუთე-დ-ი, მე-რვ-ე -- მერვე-დ-ი, მე-ოც-ე-მეოცე-დ-ი და სხვ... რთულ რიცხვით სახელებში წილობითი კვალდაკვალ მისდევს რიგობითს: მე-თერთმეტ-ე -- მეთერთმეტე-დ-ი, ოცდა-მე-სამ-ე -- ოცდა-მესამე-დ -ი, ოთხმოცდა-მე-ხუთ-ე -- ოთხმოცდამეხუთე-დ-ი და სხვ.

"ერთ,,-ისაგან წილობითი არ კეთდება საზოგადოდ, მაგრამ ითქმის: ოცდა-მე-ერთე-დ-ი, ას-მე-ერთე-დ-ი და მისთ.

"მეორედ,,-ის ნაცვლად „ნახევარი,, ითქმის, მაგრამ: ოცდა-მეორე-დ-ი, ორმოცდა-მეორე-დ-ი, სამოცდა-მეორე-დ-ი და მისთ.

წილობის აღსანიშნავად რამდენსამე სიტყვაში გადმონაშთის სახით შენახულია ნა-- ალ-იც : ნა-სამ-ალ-ი, ნა-ოთხ-ალ-ი, ნა-ათ-ალ-ი, ნა- ას-ალ-ი.

2.7. ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება

ხარისხისა ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ნიშანს გვიჩვენებს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ეს მეტ-ნაკლებობა დამყარებულია ძირეულისა

და წარმოქმნილის შედარებაზე. რომ ავიღოთ, მაგალითად, ერთი მხრით „შავი“ და „უშავესი“, მეორე მხრით კი „შავი“ და „მოშავ(ვ)ო“ და თვითეული წყვილის ცალები ერთმანთს შევადაროთ მნიშვნელობის თვალსაზრისით, „მოშავო“ ნაკლებია, ვიდრე „შავი“.

ამოსავლად აღებული ფორმა (წარმოქმნის თვალსაზრისით ძირეული) მიჩნეულია დადებით ხარისხად ("შავი,,), რომელთანაც შედარებით მასზე მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა იქნება უფრობითი ("უშავესი,,) და მასზე ნაკლები კი-- ოდნაობითი ("მოშავ(ვ)ო,,).

ხარისხი ზედსართავი სახელისთვისაა დამახასიათებელი. მსჯელობა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ზედსართავ სახელებს თანამედროვე ქართულში ხარისხის ფორმები აქვს: დადებითი - ძირეული ანუ ამოსავალი ფორმა, უფრობითი, ოდნაობითი კი ნაწარმოები სახელებია. საწარმოებლად გამოყენებულია უ-ეს, მო-ო და იშვიათად წა-ო. ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელია. ასეთი სიტყვები ძირითადად ფერის აღმნიშვნელია: მოშავო, მოთეთრო, მონაცრისფერო. ამ უკანასკნელებს წა - თავსართიანი სინონიმები მოეპოვება: წათეთრო, წაყვითალო... მო-ო: შეიძლება აგრეთვე აღნიშნავდეს ადამიანის ფერს (თმის, თვალების ...) მო-ქერაო, მოთეთრო ; გემოს აღმნიშვნელ სიტყვებშიც გვხვდება მო-ო: მომწარო, მოტკბო; ფორმის აღმნიშვნელია მოგრძო, მობრტყო; სულიერ-გონებრივი დახასიათება : მოსულელი, მოძუნწო უფრობითი ხარისხის ფორმებს აწარმოებს უ-ეს : უსწრაფესი, უძველესი ...

შენიშვნა. ზოგიერთ ენაში (მაგ., გერმანულში, ლათინურში, რუსულში) დადებითი ხარისხის საპირისპიროდ მეტი თვისების აღსანიშნავად მოიპოვება ორ-ორი ფორმა, რომელთაგანაც ერთს შედარებითს ეძახიან (კომპარატივს), მეორეს კი -- აღმატებითს (სუპერლატივს), ქართულში ასეთი დიფერენციაცია არ არის; ზოგიერთი ენის მსგავსად (მაგ., არაბულისა), ქართულს მოეპოვება მხოლოდ ერთი

პორმა, რომელიც საგნის ნიშანს მეტი ოდენობით გამოხატავს, ვიდრე დადებითი; ეს არის უფროობითი (ელატიური) ფორმა.

მართალია, შეიძლება ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმას წანდაერთოს კიდევ მეორე უ (უ-უ-დიდ-ეს-ი, უ-უ-მშვენიერ-ეს-ი), მაგრამ ეს არის ხელოვნური ფორმა. ასეთ უფროობითს გაძლიერებული (ინტენსიური) ეწოდება.

მო -- ო აწარმოებს ოდნაობით სახელებს. ე. ი. ისეთ სახელებს, რომლებიც საგნის მიშანს ნაკლები ოდენობით აღნიშნავენ, ვიდრე დადებითი; დიდ-ი; მო-დიდ-ო, თეთრ-ი; მო-თეთრ-ო, შავ-ი; მო-შა(ვ)-ო, მჟავე; მომჟა(ვ)-ო და მასთ.

ოდნაობით ფორმებთან დაკავსირებით საინტერესოდ მიგვაჩნია ვაჟა შენგელიას მოსაზრება: **ოდნაობითი ხარისხის გამოხატვისათვის სხვადასხვა სისტემის ენებში**

ოდნაობითი (კნინობითი) შინაარსი აფიქსების საშუალებით სხვადასხვა სისტემის მრავალ ენაში გადმოიცემა, რისთვისაც გამოიყენება როგორც პრეფიქსი და სუფიქსი , ისე კონფიქსი.ისიც აღსანიშნავია, რომ ოდნაობითი შინაარსის გამომხატველ ზედსართავ სახელებს ზოგი მკვლევარი ხარისხის ფორმებად მიიჩნევს, ზოგი- ჩვეულებრივ სიტყვაწარმოებად.

კავკასიაში გავრცელებული არაიბერიულ-კავკასიურ ენათაგან ოდნაობით ხარისხს გამოყოფენ სომხურში; ოდნაობითი შინაარსის ზედსართავი სახელები იწარმოება ოსურში, რუსულში, თუმცა მათ ხარისხის ფორმებს არ მიაკუთვნებენ.

ოდნობითი შინაარსის გადმოცემა სუფიქსების საშუალებით შესაძლებელია გერმანულში, ფრანგულში, ინგლისურში... სხვა ოჯახის ენებშიც.

ამრიგად, ოდნობითი (კნინობითი) შინაარსის ზედსართავი სახელები მრავალ ენაში დასტურდება, თუმცა მათ სპეციალისტების მიერ სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა. საკითხი იმის მიხედვით წყდება, თუ ზედსართავი სახელის ხარისხის ცნების როგორ განმარტებას ემყრება მკვლევარი... ჩვენთვის მისაღებია ის თვალსაზრისი, რომელიც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი VII ტომშია წარმოდგენილი (რედაქტორები: ი.გიგინეიშვილი, ბ.ფოჩხუა): **ხარისხი არის ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების ფორმა. რომელიც მიუთითებს ამ ზედსართავით ან ზმნისართით გამოხატული თვისების მეტ-ნაკლებობაზე**, შესაბამისად, დერივაციის შედეგად მიღებული ოდნობითი შინაარსის გამომხატველი ზედსართავისა თუ ზმნისართის ყველა ფორმა ენათმეცნიერს ოდნობითი ხარისხის ფორმებად მიაჩნია (შენგელია, 2013, 49-51).

მიმართება უფროობითი ფორმისა დადებითისადმი ისეთი არ არის როგორც ოდნობითისა იმავე დადებითისადმი; საგნის ნიშანს უფროობითი გამოხატავს მეტი ოდენობით განუსაზღვრელად, ოდნობითი კი -- ნაკლები ოდენობით, მაგრამ ერთგვარი განსაზღვრით; მიახლოებით, ოდნავ; მაგალითად, „უ-თეთრ-ეს-ი“ არის ისეთი რომელიც სითეთრით უმაღლესი ხარისხისაა, „მოთეთრ-ო“ კი ისეთია, რომელიც თეთრს უახლოვდება, რომელსაც სითეთრის ნიშნები აქვს, რომელიც ოდნავ არის თეთრი. აქედან არის წარმომდგარი მისი სახელი.

ოდნობითი ხარისხის ფორმები ქართულში უფრო ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე უფროობითისა; ზოგი ზედსართავისაგან უფროობითი გვაქვს და ოდნობითი კი -- არა.

ხარისხებს აწარმოებს ვითარებითი ზედსართავი, ე. ი. ზედსართავი, რომელიც პირველადია თავისი წარმოშობით. რაც შეეხება მიმართებით ზედსართავს, მისგან ხარისხის პორმები არ იწარმოება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უკვე მიმართებითობა დაკარგული აქვს დავითარებითად არის ქცეული, „გონ“ - ისაგან ნაწარმოები „გონიერი“ და „უგნური“ რრივე გვამლევს უფროობითი ხარისხის ფორმებს; უ-გონიერ-ეს-ი, უ-უგნურ-ეს-ი, ასეთივეა „ძლიერი“ და „უძლური“ (რომლენიც მიმართებითია წარმოშობით, -- ორივე ნაწარმოებია „ძალ“-ისაგან); ასეთივე ზედსართავებია; ღონიერი, ბედნიერი, ჭკვიანი, პატიოსანი („პატივ“-ისაგან) და სხვა.

მიმღობათაგან ხარისხის ფორმები არ იწარმოება, თუ, რა თქმა უნდა, ხელოვნურ ენასთან არ გვაქვს საქმე (როგორც, მაგ., ქვე-შერდომინილი, კეთილ-შობილი; უ-ქვეშევრდომილ-ეს-ი, უ-კეთილშობილ-ეს-ი) ან თუ ზმნური გაგება არ არის დაკარგული და მიმღობა ზედსართავად არ არის ქცეული (როგორიცაა, მაგ., მჯობა -- უმჯობესი; მორცხვი -- უმორცხვესი და სხვ.)

ხარისხის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით საყურადღბოა შემდეგი

ა) ზოგიერთ ელ და ილ-ზე დაბორლოებულ (ჩვეულებრივ ერთ-მარცვლიან) ფუძეებს მოეკვეცებათ ძველი სუფიქსები ელ და ილ და ხარისხის აფიქსები უშუალოდ პირვანდელ ფუძეს დაერთვის; გრძ-ელ-ი; უ-გრძ-ეს-ი მო-გრძ-ო; სქ-ელ-ი; უ-სქ-ეს-ი, მო-სქ-ო; ბრტყელ-ი; უ-ბრტყ-ეს-ი, მო-გრტყ-ო; მსხვ-ილ-ი; უ-მსხვ-ეს-ი (უ-მსხ-ოს-ი), მო-მსხ-ო; ტკბ-ილ-ი; უტკბ-ეს-ი, მო-ტკბ-ო (ძველად; უ-ტკბ-ოს-ი; „თანა წამომყვა, წავედით უტკბოსნი მამა-ძეთასა“, ვეფხ-ტყ.)

ბ) „კეთ-ილ-ი“ ძველად „კარგს“ ნიშნავდა და მისი უფროობითი ფორმა იყო უ-კეთ-ეს-ი. უკანასკნელი ფორმა დარჩა, მაგრამ დადებითად „კეთილის“ ნაცვლად „კარგი“ დამკვიდრდა. ამიტომ ასეთი შეფარდება მივიღეთ; კარგი (კაი) -- უკეთესი. რაც შეეხება „კეთილს“, მისი ხმარებაც დარჩა დღევანდლამდე, მაგრამ მნიშვნელობა ოდნავ იცვალა; კეთილი ამჟამად გულკეთილს ნიშნავს. ამ მნიშვნელობით სიტყვას უფროობითი ხარისხის ფორმა ხელახლა გაუკეთდა ჩვეულებრივი შაბლონით; კეთილი -- უკეთილესი.

გ) „წით-ელ-ი“ და „ყვით-ელ-ი“ ოდნაობითში პირვანდელი სუფიქსის ხმოვანს ა-დ იცვლიან; მო-წით-ალ-ო, მო-ყვით-ალ-ო. ამას გარდა ლ-ს შეიძლება ნ შეენაცვლოს; მო-წით-ან-ო, მო-ყვით-ან-ო.

დ) „მცირ“-ისაგან უფროობითად „უმცროსი“ გვაქვს და ოდნაობითად -- „მომცრო“.

2.8. წარმოქმნა ნაცვალსახელებისაგან

მაწარმოებელი აფიქსები შეიძლება დაერთოს ნაცვალსახელებსაც. მაგალითად:

ჩემი > ჩემ-იან-ი, შენი > შენ-იან-ი, მისი > მის-იან-ი,

ჩვენი > ჩვენ-იან-ი, თქვენი > თქვენ-იან-ი, მათ-ი > მათ-იან-ი.

ან კიდევ: უ-ჩემ-ო, უ-შენ-ო, უ-მის-ო აღნიშნული ფორმები შეიძლება გაივრცოს მოქმედებითი ბრუნვის ნიშნითაც: უჩემო-დ, უშენო-დ...

თავისებურებას იჩენს ჩვენებითი ნაცვალსახელი: ეს კაცი- უ-იმ-კაც-ო-დ, ეს ბარათი- უ-ამ-ბარათო-დ ; „ელისოს დათმობა ვაჟისათვის შეუძლებელი იყო, რადგანაც თავისი არსებობაც კი ვერ წარმოედგინა უ-ამ-ქალოდ“ (შანიძე, 1962, 73-74).

2.9. საწყისისა და მიმღეობის წარმოქმნა

ჩვენი კვლევის ობიექტი არის ნაწარმოები სახელები; საერთოდ არ ვეხებით ზმნებს. მაგრამ ქართულ ენაში არის სიტყვათა ერთი ჯგუფი, რომელსაც სახელზმნებს უწოდებენ. სახელზმნა ჰქვია სიტყვას, რომელსაცაზახასიათებს, როგორც სახელის ისე ზმნის თვისებები. სახელზმნა ორია ქართულში: საწყისი და მიმღეობა. საწყისებს მოქმედების აღმნისვნიელ სახელებსაც ეძახიან. ესენია: დგომა, ხტომა, კითხვა, წერა, ხატვა... აღნისწულ ფორმათა სახელური ნიშანია ის რომ მათ დაერთვის კითხვა - რა? აღნიშნული ფორმები მსგავსად სახელებისა იბრუნვის: კითხვა, კითხვამ, კითხვას და ა. შ. საწყისები აბსტრაქტული სახელებია. რა ნიშანია აქვთ ზმნის? - მსგავსად ზმნისა დაირთავენ ზმნისწინს: ა-დგომა, და-დგომა, წა-კითხვა, მი-წერა და ა. შ. აქვთ ასპექტის გაგება (სრული ან უსრული); ზოგჯერ კონტაქტის (შუალობითი) ნიშანიც მოეპოვება - გაკეთებინება...

საწყისის მაწარმოებლად გვაქვს:

ბოლოსართი -ა: წერ-ა, კითხვ-ა, ჭამ-ა, ხატვ-ა, თხრ-ა...

-ნ-ა: თხოვ-ნ-ა, შოვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა...

-ომ-ა: ხტ-ომ-ა, ჯდ-ომ-ა, დგ-ომ-ა...

-ოლ-ა: წ-ოლ-ა, ბრძ-ოლ-ა, თრთ-ოლ-ა, ძრწ-ოლ-ა...

-ილ: ქუხ-ილ-ი, ტყუ-ილ-ი, ყვირ-ილ-ი...

-ულ: სიხარ-ულ-ი, სიყვარ-ულ-ი, სიძულვ-ილ-ი...

სახელზმნათა მეორე ჯგუფში შედის მიმღეობები. მიმღეობა წინადადებაში გამოყენებულია ზედსართავი სახელის ფორმით: **აშენებული** სახლი, **დაწერილი** წიგნი, **დახატული** რვეული... ამ ფორმათა სახელური თვისება ისაა რომ დაესმით ზედსართავი სახელის კითხვები - როგორი?

სახელის მსგავსად იბრუნვიან: აშენებული, აშენებულმა, აშენებულს...
 ზმნური ნიშნები კი ისაა რომ დაირთავენ ზმნისწინს, განარჩევენს ასპექტის
 და კონტაქტის კატეგორიას. აქვთ დროის გაგება (აშენებული - ახლანდელი
 დრო; ასაშენებელი - მომავალი დრო).

მიმღობის მაწარმოებელია:

მ -: (და)-მ-წერ-ი, მ-კერავი, მ-ღებ-ავი

ნა-: ნა-ტეხი, ნა-გლეჯი, ნა-შალი...

მ-ელ: მ-კვლ-ელ-ი, მ-შენებ-ელ-ი, მ-ჭრე-ელ-ი...

მა-ელ: გა-მა-მხნევებ-ელ-ი, გა-მა-ნადგურებ-ელ-ი...

მ-არ: გა-მ-ხმ-არ-ი, და-მ-წვ-არ-ი...

მ-არე: მ-ძინ-არე, მ-ღვიძ-არე, მ-წუხ-არე...

-ილ: გატეხ-ილ-ი, დაჭედ-ილ-ი...

-ულ: დახატ-ულ-ი, გათვალ-ულ-ი, გაგუდ-ულ-ი...

ზოგ ენაში საწყისი ამოსავალია ზმნისთვის ;ქართულში მეტწილად
 პირიქითაა, ზმნის ფორმაა ამოსავალი საწყისისთვის (ლომთაძე, 2006, 211-
 215).

2.10. ზმნიზედის (ზმნისართის) წარმოქმნა

ზმნიზედათა დიდი ნაწილის ფუძე წარმოქმნილია
 ბრუნვაცვალებადი სახელის "გაქვავე-ბით": „ბრუნვის ფორმა აქვთ
 მხოლოდ აქტანტებს, გარემოებებში ბრუნვის ნიშანი თეორიულად არის
 დაუშვებელი: სახელთა ფორმები სწორედ ბრუნების პარადიგმიდან
 გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნისზედებად, ანუ გარემოებებად.

კონტექსტში „ქალაქს ესახლა“, „ქალაქიდან მიდის“, „ქალაქამდე მივიდა“-ქალაქ- ფუძეზე შეზრდილი ბრუნვის ნიშნები (თანდებულობით და უთანდებულობით) წარმომქმნელ ელემენტებად გარდაიქმნებიან (უთურგაიძე 1986, 91-92) „მიცემითის, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ბრუნვის ფორმები მკვიდრდება ერთი სემანტიკურ ნიუანსით; შდრ., მაგ.: დლე, დლემ, დლეს - დლეს (დროის აღმნიშვნელი). ზმნიზედის მაწარმოებლად გვხვდება -ობა (მარცვლობით), -გან (ყველგან), -ივ (მარჯვნივ)... http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria

„ზმნისართებში წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნებს დაკარგული აქვთ ბრუნვისნიშნისეული ფუნქცია(მიმოხრა) და წარმოგვიდგებიან როგორც სიტყვამაწარმოებელი აფიქსები. (უთურგაიძე. თ).

მეგრულ-ლაზურშიც „მიცემითი ბრუნვის ნიშანი „გააქვავებულია“ პრეფიქს-სუფიქსური ან პრეფიქსური წარმოების რიგ სიტყვებში: ოჭუმარეს „დილას“, დლას „არასდროს“, გვიანას „გვიან“ და მრავალი სხვ.

(ლომაია 2004, 80-88) ;

2.11. წარმოქმნა რთული სახელებისაგან

რთული შედგენილობის სახელი, თუ ის ერთ-ცნებიანია, იმგვარადვე წარმოქმნის ახალ სახელს, როგორც მარტივი: დედაკაც-ი > სა-დედაკაც-ო, უ-დედაკაც-ო, დედაკაც-ობა; შვილშვილ-ი > სა-შვილშვილ-ო, წისქვილი > სა-წისქვილ-ო, მე-წისქვილ-ე; მამასახლის-ი > სა-მამასახლის-ო, მამასახლის-ობა და სხვ.

რაც შეეხება ორ- და მეტ-ცნებიან რთულ სახელებს, მათგანაც წარმოქმნა საზოგადო წესით ხდება: მთელი გამოთქმა ერთ ერთეულად არის მიჩნეული და სუფიქსი უკანასკნელს მოუდის, პრეფიქსი კი- პირველს.

ამიტომ ტოლ-ამხანაგ-ი > სა-ტოლ-ამხანაგ-ო, უ-ტოლ-ამხანაგ--ო, ტოლ-ამხანაგ-იან-ი, ტოლ-ამხანაგ-ობა; ცოლ-ქმარ-ი > ცოლ-ქმრ-ულ-ი და სხვ.

თავ-ბოლოსაგან უქონლობის ფორმად მოსალოდნელი იყო უ-თავბოლო-ო, მაგრამ გვაქვს შემოკრებული ფორმა: უთავბოლო (ერთი ო-თი).

2.12. წარმოქმნა მსაზღვრელ-საზღვრულისაგან

თუ სახელს მსაზღვრელი ახლავს (აბრიბუტული თუ მართული), მისგანაც შეიძლება მივიღოთ წარმოქმნილი სახელი,

ატრიბუტული მსაზღვრელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი: შავი მთა - შავ-(მ)თელ-ი (შავთელი), წითელი არმია > წითელ-არმიელი, დიდი მოურავ-ი > დიდ-მოურავიან-ი, ორი ლულა > ორ-ლულიანი თოფი, თორმეტი აბაზი > თორმეტ-აბაზიანი ცხვარი. ამგვარად წარმოებისაა:

ორ-შაურ-იან-ი, ხუთ-მანეთ-იან-ი და სხვ.

მართული მსაზღვრელიც მსგავს ვითარებას გვიჩვენებს; რკინის ხიდი > უ-რკინის-ხიდ-ო, ქალაქის სადგური > სა-ქალაქსადგურ-ო, ვეფხის ტყავი > ვეფხის-ტყა(ვ)-ოსან-ი და სხვ.

2.13. ბრუნვის ფორმები და თანდებულები წარმომქმნელი აფიქსების ფუნქციით

წარმომქმნელი აფიქსების ფუნქციით ქართულ ენაში შესაძლოა შეგვხვდეს ბრუნვის ნიშნებიცა და თანდებულებიც კი.

მოქმ. ბრუნვის ფორმა ზედსართავ სახელთა ფუძის წარმოქმნისათვის საზოგადოდ საკმაოდ გავრცელებულია ენაში. ესენია: შემთხვევ-ით-ი, განმეორებ-ით-, ქვე-ით-ი), განსაკუთრებით კი სამეცნიერო და ტექნიკური ლიტერატურის ენაში: კერძოდ მრავალი გრამატიკული ტერმინი ამის

საშუალებითაა გაკეთებული: რიცხვ-ით-ი, დადებ-ით-ი, უარყოფ-ით-ი, კითხვ-ით-ი, ვნებ-ით-ი და სხვა. რიცხვ-ით-ი. ამგვარი წარმოება საკმაოდ ხშირია: ამას დასამტკიცებლად მხოლოდ ბრუნვათა სახელწოდებების ჩამოთვლაც იკმარებდა - სახელობ-ით-ი, მოთხრობ-ით-ი, მიცემ-ით-ი, ნათესაობ-ით-ი, მოქმედებ-ით-ი, ვითარებ-ით-ი, წოდებ-ით-ი.

